გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N10 (9154) 9 აპრილი . 2015 წელი ფასი 50 თეთრი

# ქრისტე აღდგა!




## 13 აპრილი მიცვალებულთა ხსენების დღეა!




### ცხრა აპრილის დაღუპულ გმირებს

მთაწმინდის გულზე კვლავ აყვავდა აპრილი მწვანედ,
ისევ ცრემლების გაზაფხული ეწვია თბილისს,
იგივე სევდა, სატკივარი, იარა მწვავე,
და ტიტების ზღვა ჟრუანტელად ტანში რომ მივლის.
ტანკმა გათელა ენძელების თეთრი პერანგი,
ქალწულებს ჟლეტდნენ ჯალათები ნიჩბით და ფეხით,
ვერ დაგვაჩოქეს, თუმცა იყო მტერი ვერაგი,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ვერავის გრგვინვა და მეხი!
თქვენს მართალ სისხლში განიბანა ერის დიდება,
თავისუფლების გაზაფხულში დაიმარხენით,
ღამეულ ცაზე მნათობი რომ ამობრწყინდება,
გაცისკროვნდება ცხრა აპრილის წმინდა სახელით.
მთაწმინდის გულზე გადმოდინდა აპრილი ღვარად,
ისევ ცრემლების გაზაფხული ეწვია თბილისს,
აპრილის გმირებს საქართველო იგლოვებს მარად,
მათი მერმისი რუსთაველზე ამაყად ივლის!

მალხაზ ნიკოლეიშვილი

# დიდ ჯიხაიშში საზოგადოებრივი ცენტრი აშენდება

**ნინო ნანიტაშვილი**

2 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში ორი საკითხი იქნა განხილული. პირველი _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარე 1518 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობის მიცემის შესახებ. მომხსენებელი გახლდათ ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ ულრელიძე. მეორე საკითხი შპს "სპორტული კომპლექსი _ სამტრედიას" მომსახურების ტარიფების დამტკიცების 2015 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 დეკემბრის № 274 განკარგულებაში ცვლილების შეტანას მოიცავდა. მოხსენება საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა არზუმანიანმა გააკეთა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყრაზე ორივე საკითხს თანხმობა ხელისაწევით დაუდასტურეს. პირველის შემთხვევაში საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს თანხმობა მიეცეს, რომ სამტრედიის სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარე 1518 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2 წლის ვადით, აღნაგობის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი ცენტრი აშენდეს.

მეორე საკითხად საკრებულომ შპს "სპორტული კომპლექსი _სამტრედიას" ბიუჯეტის ხარჯებში შიდა მუხლობრივ ცვლილებებს მხარი დაუჭირა. საკრებულოს სხდომის ბოლოს სამტრედიელი "რესპუბლიკელების" ლიდერმა საკრებულოს თავმჯდომარის ყურადღება მიიპყრო. იმედა გოგავამ სამტრედიაში მოქმედი ბანკების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მოითხოვა, რათა გაირკვეს, რამდენად კანონიერია ახალი საბანკო ანგარიშების გახსნის დროს ამა თუ იმ ბანკის მხრიდან მოთხოვნილი 10 ლარის გადახდა.

2 აპრილის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მსჯელობის საგანი გახდა იანეთის საავტომობილო გზის მდგომარეობა. მამუკა ბიბილეიშვილის განცხადებით, სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ავტობანის მშენებლობისთვის ამ კონკრეტული გზით ქვა-ღორღით დატვირთული მძიმე წონიანი ავტომანქანებით გადაადგილდება, გზას სავალალო მდგომარეობაში აგდებს. საკრებულოს წევრმა ამ საკითხით უფრო სერიოზულად დაინტერესება მოითხოვა.

მამუკა ბიბილეიშვილს მუნიციპალიტეტის საკრებულოში იანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პაატა კოხრეიძემ იქვე უპასუხა: "უკრაინული კომპანია "ალტკომზე" იანეთელებს სასაყვედურო არაფერი აქვთ. 10 წლის განმავლობაში რომ ვითხოვდით იმ გზის გაკეთებას, რომელსაც მოსახლეობა საყანე ფართობებში მიჰყავდა, "ალტკომმა" კეთილი ნება გამოიჩინა და მოგვიხრეშა. მოსახლეობა ნამდვილად გამოხატავს მათ მიმართ მადლიერებას. სამშენებლო კომპანია გვეხმარება იანეთის სკოლის სტადიონის კეთილმოწყობაში. რაც შეეხება გზას, რომლითაც გადაადგილდებიან, ჩვენი მხრიდან მასზე კონტროლი ხორციელდება, ყოველდღიურად მიმდინარეობს გზის გადარეცხვა. პატარ-პატარა შეკეთებას სისტემატურად აწარმოებენ. სამუშაოების ბოლოს კი, როგორც ხელშეკრულებაში გვიდევს, სოფელს გარემონტებულ გზას დაუტოვებენ. ამაში ეჭვი არ გვეპარება".





# ფრაქცია "ქართული ოცნება_ფორუმს" ახალი თავმჯდომარე ჰყავს

ეს საკითხი პირველივე გახლდათ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში. მელაურის თემის დეპუტატი ხვიჩა ფანცულაია, ფრაქცია "ქართული ოცნება_ფორუმის" თავმჯდომარე აღარ არის! მან პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. ოთხკაციან ფრაქციას, რომელშიც ხვიჩა ფანცულაია, გრიგოლ დარჯანია, ჯონი ახობაძე და საკრებულოს ყოფილი წევრი, დღეს უკვე გამგებლის მოადგილე, როსტომ თავაძე წარმოადგენენ, "ქართული ოცნების" სიით საკრებულოში მოხვედრილი დეპუტატი, გრიგოლ დარჯანია უხელმძღვანელებს. თავად ხვიჩა ფანცულაია ფრაქციის წევრად, რა თქმა უნდა, რჩება. "მუშაობას ჩვეულებრივ ამომრჩეველთან მჭიდრო ურთიერთობის რეჟიმში გავაგრძელებთ. ეს თავად ხვიჩას გადაწყვეტილება გახლდათ. შეიცვალა მხოლოდ თავმჯდომარის სახელი და გვარი, მეტი არაფერი, არც მუშაობაში და არც ურთიერთობებში."_ ამბობს გრიგოლ დარჯანია.



"ცვლილება ფრაქციაში მხოლოდ ხვიჩა ფანცულაიას პირადი განცხადების საფუძველზე მოხდა. დამერწმუნეთ, რომ არანაირი სხვა მიზეზი, დაპირისპირება ან დაძაბულობა არ ყოფილა, ეს მართლა ჭორია, თუ რამ ასეთი გაიგეთ. უბრალოდ ასე გადაწყვიტეს ფრაქციის წევრებმა, ერთი ჩაანაცვლებს მეორეს. ფრაქცია კვლავ შეასრულებს იმ ვალდებულებას, რაც აქვს."_ აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია.

ისიც ითქვა, რომ ფრაქციის ყოფილმა თავმჯდომარემ პოსტი სხვა თანამდებობაზე სავარაუდო დანიშვნის გამო დატოვა, თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი არ არის, _ " ამგვარ ინფორმაციას ვერ ვფლობ. ჟურნალისტები ხშირად იგებთ ჭორებს. რომ იხილებოდეს ხვიჩა ფანცულაიას კანდიდატურა სადმე, არც ეს იქნება გასაკვირი. თუმცა, ამ ეტაპზე ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა."

*თეა ბაბუნაშვილი*

# დამეწყრილების სიის ბოლომდე ჩასაკითხად

**თეა ბაბუნაშვილი**

დამეწყრილების სია სამტრედიაში წლების წინ ჩამოიწერა, მეწყერსაშიში ზონა კარგა ხნის დამკვიდრებული ტერმინია. დღემდე სიაც შემორჩა, ტერმინიც და გეოლოგიური დასკვნებიც, მარტო ზარალის ანაზღაურების სახელმწიფოსგან მიცემული იმედი გაქრა უგზოუკვლოდ.



აქამდე ეს თემა მივიწყებულიც კი იყო, რომ არა სულ ახლახან გომის თემის სოფელ დობიროში საცხოვრებელი სახლის შესაძენად ორი ოჯახისთვის გამოყოფილი თანხა. იგი 20 ათას ლარს შეადგენს. სახლი, საჯარო რეესტრში გატარებული შესაბამისი დოკუმენტაციით თავად უნდა მოძებნოს დაზარალებულმა. თუ მისი ღირებულება გამოყოფილი თანხის ფარგლებს სცდება, მყიდველი დაამატებს სხვაობას. თანხა ხელზე არ გაიცემა, საყიდლად შერჩეული სახლის მფლობელს სახელმწიფო გადაურიცხავს მას.

სოფელი დობირო ის ადგილია, ყველა გაწვიმებაზე რაღაცას რომ აზიანებს მეწყერი, "მოდის მიწა და მთა." "ისეთი ოჯახი, გასახლებას რომ ექვემდებარება, ამ ეტაპზე ორია დობიროში და ორივეს უნაზღაურებს ზარალს სახელმწიფო. დაზარალებული ძალიან ბევრია სოფელში, ყოველწლიურად ემატება ბზარი ბზარს სახლებზე."_ამბობს სოფლის გამგეობის სპეციალისტი არსენ თავაძე.

რაულ ნადირაძის ოჯახში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ამ საკითხზე სასაუბროდ ჩავიდნენ. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, მისი მოადგილე როსტომ თავაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია, ადგილზე ბოლო დეტალებს არკვევდნენ. "ეს სახლი საერთოდ დასაშლელია, აქ ცხოვრება არ შეიძლება. ისე ახალი აშენებულია, 28 წლის წინ ავაშენეთ, მაგრამ რას ვიზამ. სამი შვილი და რვა შვილიშვილი მყავს, მაგრამ ვერ მსტუმრობენ, გვეშინია ბავშვების აქ დაძინება."_ ამბობს მასპინძელი.



მან ოროთახიანი ბინა უკვე შეარჩია. ხუთი ათასი ლარის დამატებას თავად აპირებს განსაზღვრულ თანხაზე. მაინც ძველი ფუძის იმედი აქვს, აქაურობას ვერ მივატოვებ, საკარმიდამო მიწას დავამუშავებ და ის დასამატებელი თანხა ამან უნდა გადამახდევინოსო, ფიქრობს მისი მეუღლე.

მეორე ოჯახი, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლები ესტუმრნენ, დალი ნიკოლეიშვილის გახლდათ, შვილმკვდარი დედის, 28 წლისა რომ გარდაეცვალა სიმსივნით. "უკვე 10-12 წელია, დამეწყრილია ეს სახლი. მეორე სართული ედგა, კიბე ჩამოიშალა. მერე ეს, რაც დარჩა, მეზობლებმა გადამიხურეს და შვილი ბრიზენტით გადაფარებულ სახლში ვიტირე. ავთო სტურუა იყო მაშინ გამგებელი, ორი ჯოხით მივედი მასთან. მითხრა, დაგეხმარებიო და არაფერი დამხმარებია. შვილის წლისთავზე მეუღლე გარდამეცვალა. ახლა შვილიშვილის იმედად ვარ, ქალიშვილის შვილის. ამ სახლში მისი გაჩერება მეშინია კიდეც. საღამოობით მეზობელი ამოდის და მასთან გადავყავარ, აქ დარჩენა საშიშია."_ ცრემლებით ჰყვებოდა მის სატკივარს შავოსანი დედა. ისიც ანალოგიურად შეძლებს ახლადშერჩეული სახლის შეძენას.

სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო საყიდლად შერჩეულ სახლს შეამოწმებს და თუ იგი საცხოვრებელ ნორმებს აკმაყოფილებს, თანაც დოკუმენტაცია წესრიგში იქნება, თანხა დანიშნულებისამებრ იმ შემთხვევაში გადაირიცხება.

"დამეწყრილი, დაახლოებით, ორასი ოჯახია. ზარალის მიხედვით ისინი კატეგორიებად იყოფიან. ზარალის ასანაზღაურებლად ჩვენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მივმართავთ, მერე ისინი მოქმედებენ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა თანხა გამოჰყვეს. ადრე, 1996-98 წლებში თანხა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დარიგდა. მერე ეს პროცესი საერთოდ შეჩერდა. ამიერიდან, ვფიქრობთ, იმ დაზარალებული ოჯახებიდან სხვებიც დაკმაყოფილდებიან."_ ამბობს ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია. მუნიციპალიტეტის გამგებელი ფლობს ინფორმაციას, რომ "ამ ორი ოჯახიდან ერთმა სამტრედიაში შეარჩია საცხოვრებელი სახლი, მეორემ ქუთაისში. ამათ გარდა ბევრია დაზარალებული, მაგრამ ამ ორი ოჯახის დახმარება სასწრაფო იყო. პროგრამა გაგრძელდება და სხვებიც დაკმაყოფილდებიან." გომში გამგებლის წარმომადგენელი ზაზა ნიკოლეიშვილი თანასოფლელების სახელით კიდევ ერთხელ უხდის მადლობას შესაბამის სამსახურებს და დასძენს: "ამ ოჯახების განცხადებას დროულად მოჰყვა რეაგირება. ველოდებით, რომ მათ მდგომარეობაში მყოფი სხვა ოჯახებიც დაკმაყოფილდებიან."

სტიქიით დაზარალებულთა დახმარება კარგა ხანია, აღარაა სასაუბრო თემა სამტრედიაში. ამჯერად საქმეს ისეთი პირი უჩანს, ერთ დროს ჩამოწერილ სიას ბოლომდე ჩაიკითხავენ.

# თანაშემწე ტექნიკური შეცდომით

გამგებლის თანაშემწის ხელფასი ნაცვლად 1000-ისა 700 ლარით განისაზღვრება _ ამგვარი გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომამ მიიღო. ცვლილება საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N4 დადგენილებაში შევიდა, რომელიც საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავს.

"ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ თავიდან 1000 ლარი იყო გათვალისწინებული ამ თანამდებობაზე. ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასთან ერთად კანონმდებლობის ჩარჩოში მოექცა ეს ყველაფერი და მისი ხელფასი მთავარი სპეციალისტის სახელფასო სარგოს გაუთანაბრეს. ეს ახალი შტატია, ჯერჯერობით თანაშემწე არ ჰყავს გამგებელს, აწი უნდა დაინიშნოს."_ განმარტავს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე, რომელმაც საკითხი თავად გამოიტანა საკრებულოს სხდომაზე. იქვე მის მიერვე გამოტანილ მეორე საკითხზეც აკეთებს კომენტარს: "სამტრედიის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ", 2015 წლის 9 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილება ტექნიკურმა შეცდომამ განაპირობა. საშტატო ნუსხა, რა თქმა უნდა, იგივე რჩება. თავიდანვე გამგებლის თანაშემწის ორი შტატი იყო განსაზღვრული. სიტყვიერად ყველგან ორი ეწერა, მხოლოდ ცხრილში გახლდათ მითითებული ერთი. ცვლილებაც ამან გამოიწვია."

ამ ცვლილებების შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს ორი თანაშემწე ეყოლება, რომელთა თანამდებობრივი სარგო 700 ლარით განისაზღვრება.

რადგან ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება ბოლო დროს პოლიტიკოსების ქამრების შემოჭერასთან ასოცირდება, ოპოზიციაში კრიჭაში ჩამდგარმა ნაციონალურმა ოპოზიციამ ეს ფაქტიც შემოჭერილ ქამარს მიაწერა კომენტარით: "მხოლოდ ერთი ჰქონდათ ქამარი!" შენიშვნა, რა თქმა უნდა, უპასუხოდ დარჩა, შეცდომა გასწორებული და ხელფასი შემცირებული.

გადაწყვეტილებას ხელი ყველა დეპუტატმა აუწია.

*თეა ბაბუნაშვილი*

# ყველა მთავრობა ასე ლაპარაკობს...

## ადრე ასეთი კატეგორიულები არ იყვნენ



**თეა ბაბუნაშვილი**

*_ 20 წელია არაფერი გაკეთებულა ჩვენთან.*

*_ ბატონი კახიანი მოვიდა, რა პრობლემები გაქვთო, არჩევნებამდე. მერე რომ დაგვჭირდა, არ დაგვიდგა გვერდით, დავრეკეთ და გერმანიაშიაო. გერმანიაში კი არა, აქ მოგვაკითხოს ერთი. რომ დავრეკეთ ჩვენს პრობლემაზე სასაუბროდ, გათიშა ტელეფონი...*

*_ ჩვენი პრობლემა საბავშვო ბაღის საკითხია. არც ერთი მთავრობა არ აგვარებს, არც წინა და არც ახლანდელი.*

*_ წინა მთავრობის დროს გამოყოფილი თანხა თუ არ დავხარჯეთ, დაიკარგებაო და ისეთი რამ გაკეთდა, აგერ დგას გზაზე, თავშეყრის ადგილი დაარქვეს და საერთოდ არ გამოგვიყენებია არაფერში, გული გვისკდება რომ ვუყურებთ.*

*_ ამ ფულს ისევ გომი წაიღებს, დაანაწილებენ და დაფნარს არაფერი შეხვდება.*

*_ 16 ათასი ლარი, ვიცით, ცოტაა, მაგრამ თუ საფუძველი არ ჩავუყარეთ რამე საქმის გაკეთებას, არაფერი გამოვა.*

*_ ეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი მონაკვეთია, აქ შეიძლება ნაგვის ყუთი არ იდგეს?*

*_ არჩევნების დროს ხომ მოხვალთ დაპირებებით!*

*_ არა, კაცო, არა, არც ესენი არიან რაიმეს გამკეთებლები...*

ამ ფრაზებს დაფნარში, გამგებელთან და მის თანმხლებ პირებთან შესახვედრად მოსული მოსახლეობა ამბობდა, თავიდან სულ სამნი რომ იყვნენ და ნელ-ნელა ემატებოდათ ხალხი. საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყებას ითხოვდნენ ისინი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით, მხოლოდ 16 ათას ლარს რომ შეადგენს და ზღვაში წვეთია იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელზე შეჭიდებაც სურთ. მით უმეტეს, რომ 2016 წელს უკვე ჩასმულია პროგრამაში ამ სოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. 30-დან 50 ბავშვამდე კონტინგენტის ბაღის მშენებლობა 200 ათას ლარამდე ჯდება, 25 ბავშვზე კი_ 150 ათასი ლარი. ამ განმარტებებს, მართალია, აძლევდა მათ გამგებელი, მისი მოადგილე როსტომ თავაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია, მაგრამ დაფნარელების დაყოლიება ძნელი საქმე აღმოჩნდა. ''რა დაპირებაც მოგცათ ხელისუფლებამ, ყველაფერი შესრულდება, მაგრამ ერთ და ორ თვეში გაგვიჭირდება, არ გამოვა ასე, 20 წელი რაც არ გაკეთებულა, ახლა მოითხოვოთ, გაგვიკეთეთო.''_ პასუხობდნენ დაფნარელებს შეხვედრაზე მისულები. საბავშვო ბაღის მშენებლობის გარდა, ისინი თავის დროზე სოფელში საჯარო სკოლის გაუქმებასაც აპროტესტებდნენ და მის აღდგენას მოითხოვდნენ, სკოლის, რომელიც საუკუნეზე უხნესია და პირველი სასწავლებელი იყო რიონის გამოღმა ტერიტორიაზე, და სადაც აკაკი შანიძე სწავლობდა თურმე. იქვე შეახსენეს მათ, რომ ბაღიც და სკოლაც თავის დროზე სწორედ მცირე კონტინგენტის გამო გაუქმდა სოფელში, გზის პირას ვართო, და ყველა ოჯახი სამტრედიაში უშვებდა შვილს სასწავლებლად. ამის მიზეზად მაშინ ჯერ ისევ არსებულ სკოლაში ცუდ ინფრასტრუქტურულ პირობებს ასახელებდნენ დაფნარელები. ახლაც სწორედ იმ შენობის აღდგენაზე საუბრობდნენ 1800-იან წლებში რომ არის აშენებული. იმის გაგონებაც კი არ უნდოდათ, რომ განათლების სამინისტრომ სკოლებს ავტობუსები დაუნიშნა, რომელიც მათ შვილებს გორმაღლის ან სხვა ახლომდებარე სკოლაში წაიყვანდა.

გარდა ამისა, სოფელი კერძო საკუთრებაში არსებული იმ მიწების გამოსყიდვის ხარჯზე, წლებია, დაუმუშავებელი რომ არის, საძოვრის გარეშე დარჩენილი სოფლისთვის საძოვრის შეძენას მოითხოვდნენ. ეს რომ ასე არ შეიძლებოდა მომხდარიყო და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხით კერძო პირისგან ვერაფერს შეიძენდნენ, ან სულაც, კერძო საკუთრებას ვერ შეეხებოდნენ, ცალკე განსჯის საგანი გახდა.

''ეს პრობლემები არახალია, ძველი პრობლემებია. სკოლაც და საბავშვო ბაღიც დაფნარში, სამწუხაროდ, გაუქმებულია. მოსახლეობა ითხოვს მათ აღდგენას და ეს მოთხოვნა სულ არაა გასაოცარი, პირიქით, ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს სკოლაც და ბაღიც. სკოლის პრობლემას მეტ-ნაკლებად აგვარებს განათლების სამინისტრო, გადაჰყავს ავტობუსებით ბავშვები სხვა სკოლებში. რაც შეეხება ბაღს, ასე ერთი ხელის მოსმით ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. ადგილობრივ ბიუჯეტს არ შეუძლია მისი აშენება. ჩვენ ვერ ჩავერევით სოფლის გადაწყვეტილებაში, მაგრამ ვურჩევთ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით შემოირაგვოს ის ადგილი, სადაც სამომავლოდ საბავშვო ბაღი აშენდება. ეს ყოფილი სკოლის ტერიტორია გახლავთ, რომელიც ამჟამად განათლების სამინისტროს ბალანსზეა და ჩვენ თხოვნით მივმართეთ მისი გადმოცემის თაობაზე. ეტაპობრივად ყველა პრობლემა მოუგვარდებათ, მაგრამ ხალხს სწრაფად უნდა ყველაფერი, ადრე ასე კატეგორიულები არ იყვნენ.''_ განაცხადა შეხვედრის შემდეგ ვალერი ფოცხვერიამ, რომელმაც ხალხთან საუბრის სირთულე დაფნარში იგემა.

## ხიდი დიდი ღრმულებით



''სამტრედია ძმობისა და მეგობრობის ქალაქია'' _ ამ წარწერით თავს იწონებს მტრედების ნათლული ქალაქი, ისიც იციან სამტრედიაში შემომსვლელებმა, რომ ეს დევიზად ქცეული სიტყვები ერთ-ერთ გადასასვლელ ხიდს ამშვენებს, ქალაქში შემოსვლამდე რომ შეგხვდებათ.

ინტერნეტსივრცე მოიარა მოყვარულის გადაღებულმა კადრებმა, სადაც ჩანს, თუ რა ჭკვიანურად, თანმიმდევრულად და მწყობრად გადადიან ძროხები ამ ხიდზე. სწორედ ამ ხიდზე გვსურს მკითხველის ყურადღების ფოკუსირება, ოღონდ ამჯერად არა სახალისო განწყობითა და ტონალობით. ქალაქის ყოველგვარ ძმობა-მეგობრობასა და სტუმართმოყვარეობაზე ფიქრის უნარი წაგერთმევათ, თუ ამ ხიდზე ღამით მოგიწევთ გადასვლა. არც დღისით დადგებით კარგ განწყობაზე, ხიდზე გაჩენილ ვეებერთელა ღრმულებს რომ დაინახავთ. ღმერთმა ნუ ჰქნას და ხიდზე დაფიქრებულმა გაიაროთ ისე, რომ ძირს არ დაიხედოთ. რამდენიმე ასეთი ღრმული, ალბათ, სიმშვიდეს იმ მშობლებს უკარგავს, რომელთა შვილებსაც ხიდით ყოველდღიური სარგებლობა უწევთ. მოგეხსენებათ ამ ხიდით სარგებლობენ მოსწავლეები, რომლებიც მე-6 საჯარო სკოლაში დადიან. ალაგ-ალაგ კეთილი კაცის ხელს რკინის ნაჭერი ''დაუკერებია'' და ასფალტიც დაუგია, მაგრამ ეს რომ საქმეს არ შველის, ცხადია. დროა, სავიზიტო ბარათად ქცეულ ხიდს მეტი ყურადღება მივაქციოთ, რადგან ამ ღრმულებში ნახვამი კაცი თუ არა, მცირეწლოვანი ბავშვი თავისუფლად გაეტევა და უბედური შემთხვევისაგან დაზღვეული არავინაა.

***ნათია ნაცვლიშვილი***

# 12 აპრილი კოსმონავტიკის საერთაშორისო დღეა!

## კოსმოსის ათვისებაში სამტრედიელის მონაწილეობდა

**ლევან გაბეჩავა**

***ქვესკნელ-ზესკნელი, სალი კლდეები, ოკეანეთა ფსკერი... ერთი სიტყვით არ არსებობს ადგილი ადამიანის ხელი რომ არ მისწვდა, ადამიანის ფიქრისა და განსჯის საგანი რომ არ გახდა.***

***მით _ ადამიანის კოსმოსში შესაძლო გაფრენის შესახებ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ, 1961 წლის 12 აპრილს დაიმსხვრა, როცა პირველმა დედამიწელმა, იური გაგარინმა კოსმოსში იმოგზაურა. ეს გახლდათ მეცნიერებისა და მეცნიერთა არნახული მიღწევა და წარმატება, რაშიც დიდ რუს ხალხთან ერთად განუზომელი იყო ქართველ მეცნიერ-სპეციალისტთა წვლილიც, თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით.***

დიდი დრო არ გასულა პირველი დედამიწელის კოსმოსში გაფრენიდან და ისევ პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანმა ფეხი დადგა მთვარეზე. მერე, კოსმოსი საბჭოელმა და ამერიკელმა მოქიშპეებმა ერთგვარი შეჯიბრის თემად გაიხადეს და ამით, ასე თუ ისე, კაცობრიობამ ბევრი რამ შეიძინა...

დრო გადის, თანამედროვე პირობებში კოსმოსური თანამგზავრები, საერთოდ კოსმოსი, მშვიდობიანი მიზნებისათვისაა გამოყენებული. სწორედ კოსმოსიდან ხდება მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პირობების შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ფრენების უხიფათოდ განხორციელების, შორეული ნაოსნობის მშვიდობიანად დასრულების, დედამიწის ზედაპირის კარტოგრაფირების, სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და რიგ საკითხთა კაცობრიობის სასარგებლოდ გადაწყვეტის საქმეში.



კოსმოსური კვლევის, მძლავრი ბალისტიკური რაკეტების შექმნის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს ალექსანდრე ნადირაძესა და გიორგი ბერიშვილს. დიდხანს სცემდა მტერს შიშის ზარს მათ მიერ შექმნილი სამხედრო იარაღი, რომელიც შესაძლო იყო, ზღვარზე მისული ცივი ომისას, სწორედ კოსმოსიდან ყოფილიყო მართული, მაგრამ ისევ ადამიანთა კეთილმა ნებამ იმძლავრა და...

დღეს იმ ქართველ, სამტრედიელ კაცს გავიხსენებთ, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა მძლავრი მფრინავი აპარატების შექმნაში და უშუალოდ მონაწილეობდა კოსმოსური ეკიპაჟიანი ხომალდების ორბიტაზე გაყვანის ურთულეს პროცესში.

ბატონი არჩილ ამბროსის ძე შარაშენიძე 1935 წელს სამტრედიაში დაიბადა. ოქროს მედლით დაამთავრა სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა. 1960 წელს მან მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა განაწილებით მფრინავი აპარატების სარემონტო-საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრად დაიწყო. (ქალაქი რეუტოვო, მოსკოვის ოლქი). სხვადასხვა წლებში ბატონი არჩილი იყო მოსკოვის კოსმოსური კვლევის ცენტრის ინჟინერ-კონსტრუქტორი. სიცოცხლეშივე კორიფეებად აღიარებულ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართველი მეცნიერის შესაძლებლობები, უნარი, მონდომება, რაც უმსხვილესი განყოფილების ხელმძღვანელად ბატონი არჩილის დაწინაურების საბაბი გახდა. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა და დამზადდა არაერთი კოსმოსური ხომალდი: ''ვოსტოკი'', ''ვოსხოდი'', ''სოიუზი''. ისინი წარმატებით იყვნენ გაყვანილი კოსმოსურ ორბიტაზე ბაიკონურის კოსმოდრომიდან.

ეკიპაჟიანი ხომალდების ორბიტაზე გაყვანა, დედამიწაზე მშვიდობიანად მათი დაბრუნება მეცნიერულად უზუსტეს გათვლებს, კოლოსალურ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა. სწორედ ამ საქმეში მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა ქართველ კაცს რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება, რაც უდავოდ დიდი აღიარებაა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი შეგნებული ცხოვრება ბატონმა არჩილ შარაშენიძემ რუსეთში გაატარა, მისთვის სულერთი არასოდეს ყოფილა საქართველოში, სამტრედიაში განვითარებული მოვლენები სისტემატურად ეხმიანებოდა ქართველ მეგობრებს, ახლობლებსა და ხარობდა მათი წარმატებებით.

12 აპრილს კოსმონავტიკის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამდენად, აუცილებლად მივიჩნევთ ის დამაშვრალი სამტრედიელი გაგვეხსენებინა, კოსმოსის ათვისებაში რომ შეიტანა დიდი წვლილი, იგი 2002 წელს გარდაიცვალა.

***დაბოლოს, წელს ბატონი არჩილი 80 წლისა გახდებოდა, რამდენიმე თვეც და სამტრედიელები ქალაქის დაარსების 145-ე წლისთავს აღნიშნავენ, არ იქნება ურიგო, მშობლიურ სამტრედიაში ერთ-ერთ მოკრძალებულ ქუჩას მაინც მისი სახელი თუ მიენიჭება.***

## 14 აპრილი ქართული ენის დღეა

# რა უცხო სიტყვებია გავრცელებული სნობურ წრეებში და ვინ უფრო სცოდავს ენის წინაშე

ნათია ნაცვლიშვილი

***მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ენას ძეგლი დაუდგეს, ჩვენს ყოველდღიურობაში ისე უდიერად ვექცევით მშობლიურ ენას, ისე შეურაცხვყოფთ, "ისეთ დღეს ვაყრით", თავადვე ვაფერმკრთალებთ ამ პატივისცემას. რატომღაც მავანს ჰგონია, რომ ენობრივი ნორმების დაცვა მხოლოდ ფილოლოგებისა და ჟურნალისტების საქმეა, არადა, ნებისმიერი თავმოყვარე ქართველის მოქალაქეობრივი ვალია, იმეტყველოს გამართული, სუფთა ქართულით.***

***14 აპრილს, ქართული ენის დღეს აღვნიშნავთ. ამ თარიღთან დაკავშირებით ინტერვიუ ჩავწერეთ სამტრედიის საუკეთესო წარმომადგენელთან, ლიტერატორ თემურ ქორიძესთან. ამ საინტერესო საუბრისას ვერ ჩავეტიეთ თემატურ ჩარჩოში და მრავალ სხვა აქტუალურ საკითხზეც გაამახვილა ყურადღება ჩვენმა რესპონდენტმა.***

**— ბატონო თემურ, ალბათ როგორც ფილოლოგს, კრიტიკოსს განსაკუთრებულად გტკენთ გულს, როცა ენის ნორმების დარღვევის გახშირებულ ფაქტებს აწყდებით. თქვენი დაკვირვებით, სად უფრო ხშირად ისმის დამახინჯებული ქართული... ვინ უფრო სცოდავს?**

— შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, როდესაც პრაქტიკულად დაიწყო გაბატონებული რუსული ენის შეტევა ქართულ ენაზე, რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ძალიან დაზიანდა ქართული ენა, ილიას და მის თაობას დასჭირდა დიდი ღვაწლის გამოჩენა იმისთვის, რათა ფეხზე წამოეყენებინათ ჩვენი მშობლიური ქართული. მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში ქართული ენის პალატა მაინც არსებობდა და გარკვეული თვალსაზრისით ხდებოდა ენობრივი ნორმების კლასიფიკაცია და დაცვა. დღეს საერთოდ სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გარეშეა ეს პრობლემა მიტოვებული. რასაკვირველია, სცოდავენ არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ვალდებულნი არიან, თავისი ყველა შესაძლებლობით მზრუნველობა გამოიჩინონ ქართული ენისადმი, ასევე პოლიტიკოსები, რომელთა დიდი ნაწილი დასამალი არ არის, მცირედ მცოდნეები არიან და ასევე ჟურნალისტებიც, განსაკუთრებით, ვერბალური ჟურნალისტკის წარმომადგენლები — ტელეჟურნალისტები. მათგან ბევრ ისეთ ტერმინს გაიგონებთ, რომელთა მნიშვნელობა არ იცის არათუ ფართო საზოგადოებამ, არამედ არ იცის თავად ამ ჟურნალისტმა და პოლიტიკოსმა. განსაკუთრებულად გავრცელდა რამდენიმე პოპულარული სიტყვა სნობურ წრეებში. მაგალითად, თუ მგრძნობელობის ნაცვლად იტყვიან სიტყვა სენსიტიურს, ეს გაცილებით ევროპულად ჟღერს. საჭიროა თუ არა ეს სიტყვა, ატრიალებენ პოლიტიკოსები. ხშირად ისე შეუსაბამო კონტექსტში იყენებენ ამა თუ იმ სიტყვას, რომ უმალ გაგახსენდებათ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, რომელმაც არ იცის, სად რომელი სიტყვა გამოიყენოს და ძალიან კომიკურ ვითარებაში ვარდება ხოლმე. ეს ჩვენი საზოგადოების სნობური მიდრეკილების მაჩვენებელია და ვფიქრობ, საჭიროა სახელმწიფომ გამოიჩინოს ნება და მეტად იზრუნოს ენის ნორმების დაცვაზე. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეებისთვის საქართველო ესაა აბსტრაქტული ცნება, მხოლოდ გეოგრაფიული არეალი, ისინი არ გულისხმობენ ცოცხალ ქართულ ურთიერთობებს, ცოცხალ ქართველს, როგორც ეროვნებით ქართველს, სოციუმს, წინაპრების ტრადიციების გამგრძელებელს და ა. შ.

**— კიდევ რამდენიმე სხვა გავრცელებულ გამოთქმას ვერ გაიხსენებთ?**

— — ყოველ წუთში იყენებენ სიტყვა კრეატიულს, განსაკუთრებით ისეთ პოლიტიკოსებს უყვართ ეს გამოთქმა, რომელთაც "ვერ დავწამებთ" ვერავითარ კრეატიულობას.

**— დაგვისახელეთ თანამედროვე ქართველი, რომელიც არის კარგი მოქართულე, შესანიშნავად საუბრობს ქართულად, არის წიგნიერი, ბუნებრივია, კარგი მოქართულეობა, წიგნთან სიახლოვესაც ნიშნავს, აუცილებელი არ არის, ეს ადამიანი იყოს პოლიტიკოსთა ბანაკიდან...**

— აუცილებლად გამოვყოფ ჩემს უფროს მეგობარს, ბატონ ბაჩანა ბრეგვაძეს, მეცნიერს, მთარგმნელს. ფილოლოგს, ბოლოს და ბოლოს მან ახალ ქართულ ენაზე თარგმნა ბიბლია. ახალ გერმანულ ენაზე ბიბლიის მთარგმნელს, ლუთერს გერმანიაში ძეგლი დაუდგეს. ბატონი ბაჩანას მიერ თარგმნილი ყველა ნაშრომი და ყველა მხატვრული ქმნილება ესაა მწვერვალი ქართული ენობრივი ცნობიერებისა, გადავშალოთ თუ გნებავთ, ნეტარი ავგუსტინეს აღსარებანი, პასკალი, პოლ ვალერი, ეს არის ნამდვილად უმაღლესი ხარისხის ქართული ენა. მეცნიერთა შორის არიან ჩინებული მოქართულენი, პოლიტიკოსებიდან გამოვყოფ აკაკი ასათიანს, ის მეტყველებს ქართულით, ნაკითხია, განათლებულია, კარგად იცნობს როგორც მსოფლიო, ისე ქართულ კულტურას. ჩვენს მწერლობას, ის ყოველთვის ღრმა ქართული ენობრივი ცნობიერებით გამოირჩევა. დანარჩენებზე რა მოგახსენოთ, ჩვენ სამწუხაროდ ისეთ ბარიერებს ვაწყდებით ამ თვალსაზრისით, გული მოუკვდება ადამიანს. ამას წინათ, მოვისმინეთ ერთ-ერთი ჩემი კოლეგის, პარლამენტის წევრის ლექცია "ვაჟა-ფშაველაზე", რომელიც პირდაპირ იყო ძალიან დამაღონებელი. ასეთი დიდი ხნის პროფესიონალი ცოტა უკეთ უნდა იცნობდეს ვაჟ-ფშაველას. ჩემმა კოლეგამ და სტუდენტობის ამხანაგმა შეიძლება ითქვას, ანტიფილოლოგიური ანალიზი გააკეთა ვაჟა-ფშაველასი. ზოგიერთი ფიქრობს, ეს იმიტომ გააკეთა მან, რომ განსაკუთრებული ლიბერალური შეხედულებები აქვს. მაგალითად, ამბობს, ვაჟა-ფშაველამ მტრობა გააუქმა, არ უნდა თქვას ასეთი სისულელე ფილოლოგმა, წარმოიდგინეთ მწერალი რომ რაიმეს აუქმებს! ვაჟას ბიოგრაფიაში ჩახედულმა ადამიანმა კარგად იცის, პეტერბურგში რა შეემთხვა ვაჟას. მას საოცრად მოსწონდა ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, ეგონა, რომ ეს ქალი თავისუფალი იყო, ამ ქალმა შინ მიიპატიჟა ვაჟა და გააცნო თავის ქმარი. ეს იყო და ეს. ვაჟამ კავკასიური წესისამებრ, თავი დაუკრა და მერე სხვაგვარად არც შეუხედავს მისთვის. ხოლო "ფილოლოგი" პირდაპირ წერს, ქმრის თვალწინ დაუპირა გაუპატიურება ქალსო. ჩემი დაცვა ნამდვილად არ სჭირდება ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ქართულ ფილოლოგიაში ვიცავ ასეთი პროფანური შეხედულებებისაგან. ჩემი ერთ-ერთი ახალგაზრდა კოლეგა ამ დღეებში ამ თემაზე გამოხმაურებას დაბეჭდავს. სამწუხაროა, რომ ასე ზედაპირულად, ვულგარულად და ამბიციურად წამოავლებენ მწერლებს ხელს პოლიტიკოსები.

**— ამჯერდ რით ხართ დაკავებული. ვიცით, რომ ფურცელს და კალამს ხელიდან არ აგდებთ. მოვიხმობ თქვენი კრიტიკის ობიექტს, ბატონ ლევან ბერძენიშვილს და მისი გამოთქმით გეტყვით, რომ თქვენი სახლი — ესაა ადგილი, სადაც ჯერ წიგნები ცხოვრობენ და მერე ადამიანები. ისევე როგორც თქვენი ლექციური ტიპის საუბრების მოსმენა, ბატონი ლევანის საუბრების მოსმენაც ძალიან მიყვარს...**



— ამჯერად დამიგვიანდა ესეების გამოცემა, ასევე შემომთავაზა თანამშრომლობა ერთ-ერთმა გამომცემლობამ, რომელიც გამოსცემს საინტერესო სერიალს სახელწოდებით "ჩანაწერები." ამ გამომცემლობამ უკვე არაერთი ავტორის ჩანაწერები გამოსცა. გამოვიდა მიხეილ ჯავახიშვილის, ჩვენი ძვირფასი აკაკი გაწერელიას ჩანაწერები, ცოტა ფეხს ვითრევდი, იმიტომ, რომ ჩემი პრინციპია, ჩვენ ზოგი რამ სამარეში ჩავიტანოთ, ყველაფერი არ უნდა ვთქვათ. ამ ჩანაწერების მიზანი მეტწილად არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დეტალების გამომზეურება.

**— როდის ვიხილავთ ამ წიგნს?**

— შემოდგომაზე.

**— მედიას თუ შეგიძლიათ კეთილი რჩევა მისცეთ, რა გააკეთოს ენის დასაცავად...**

— ერთი რამ არის, რაშიც უდავოდ მივაღწიეთ წარმატებას — ესაა კულინარიული თემატიკა. ცოცხალი რომ იყვნენ ლუარსაბი და დარეჯანი, წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდნენ, დილიდან გვიან ღამემდე მიდის საუბარი ჭამასმაზე, კერძებზე, ისინი სამუდამოდ დააღწევდნენ თავს დილემას ჩიხირთმა ჯობია თუ ბოზბაში. ჩვენი ტელეეთერი გაჯერებულია კულინარიის სუნით, პირდაპირ ოხშივარი ასდის ჩვენს ტელევიზიებს. იმის მეათედ ენერგიას რომ ხარჯავდნენ ჩვენი ტელევიზიები ეროვნულ-საზოგადოებრივი, სახელოვნებო პრობლემების გაშუქებისათვის, რასაც საჭმელების მომზადებასა და იქვე გასინჯვაში ხარჯავენ, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ რას ვიზამთ, სჯობს კულინარიით დავიწყოთ, მერე სხვა თემებით გავაგრძელოთ...

**— დათო ტურაშვილი წიგნებზეც საუბრობს...**

— დიახ, შიგადაშიგ მათ ჰყავთ აკვიატებული, ამოჩემებული ავტორები, დათო ნიჭიერი პროვნებაა და ნიჭიერი მწერალია, მაგრამ, ისე აჩვენებენ საქმეს, თითქოს ამ სამი-ოთხი გენიოსის გარდა არავინ გვყავდეს, საქართველოში ლიტერატურა არ იქმნებოდეს. ეს ასე ნამდვილად არ არის. ხომ ხედავთ, როგორ შეიბღალა ლიტერატურული პრემია "საბას" იმიჯი საქართველოში. ეს პრემია ერთსა და იმავე პიროვნებებს ეძლევათ, თანაც საკმაოდ უსუსური ქმნილებების გამო. ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან ბურჭულაძეები, რომელთაც ხელეწიფებათ გენიტალიებსა და სექსზე წერა და ჰგონიათ, რომ ეს არის ახალი ფუტურიზმი მსოფლიო მწერლობაში და ამ დროს ეს პერიოდი გაიარა კაცობრიობამ რამდენიმე საუკუნის წინ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ექსპერიმენტები შავი საქმეა ლიტერატურაში, ქსპერიმენტატორები ძალიან ადრე კვდებიან, როგორც მწერლები. ისინი გზას გაკვალავენ, რაღაც უკიდურესობებით მიარღვევენ ბილიკს და შემდეგ უკვე გამოჩნდებიან ნამდვილი ნოვატორები...

**— სამი- ოთხი ახალგაზრდა, იმედის მომცემი მწერლის ან პოეტის გვარი გვითხარით...**

— მოდით ვაცალოთ, ჯერ არავინაა ასე გამოკვეთილი. ნუ დაგვავიწყდება, კულტურულ ცხოვრებაში ერთმანეთს ენაცვლება აღმართები და დაღმართები. ახლა ჩვენი კულტურული ცხოვრების კრიზისია. ეს უნდა ვაღიაროთ. არც თეატრში, არც კინოში, პროზაში, პოეზიაში სერიოზული წარმატება არ ჩანს. იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან დიდი აღმავლობის პერიოდები გავიარეთ. ყოველთვის ასეა, საუკუნეთა გასაყარზე საგრძნობი ხდება ხოლმე კრიტიკული მომენტები, ესე იყო მე-19, მე-20 საუკუნის მიჯნაზე, სანამ არ გამოჩნდა ელვარე ნიჭი გალაკტიონისა. მანამდე აკაკის ეპიგონებით იყო ქართული პოეზია სავსე, რაღაც პერიოდის შემდეგ გაიელვებს მართლაც დიდი ნიჭი და ტალანტი. არიან ნიჭიერები, საკმაოდ კარგი ახალგაზრდები. გამოვყოფდი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ახალგაზრდა დოქტორანტს, ლევან ბებურიშვილს, რომელმაც გამოსცა ახლახან შესანიშნავი ანალიტიკური ბეჭდური კრებული "მწერლობის მოთვინიერება გრძელდება". ისაა ძალიან იმედის მომცემი თავისი ლიტერატურული გემოვნებით, ლიტერატურული პროცესების ღრმა განსწავლულობით და იმედს მაძლევს, იგის ახალგაზრდა კაცი შემდეგს, იყოს ბიძგის მომცემი ახალი ლიტერატურული პროცესებისა. ახალგაზრდა ქალია ეკა ქადაგიძე, მისი წიგნიც გამოვიდა და ეს წიგნიც ძალიან საინტერესოა.

## ჩემეიკა

# "ყველაფერზე რომ თვალი მოხუჭო..."

დიდი ხანია, რაც დროის შეგრძნების პრობლემა ქართველი საზოგადოების აქილევსის ქუსლად იქცა. დათქმული ვადით ხომ აღარაფერი ხორციელდება ჩვენს რეალობაში, მაგრამ ისეთ დახვეწილ, ზნეობრივ საქმეში, როგორსაც თეატრი და სასცენო ხელოვნება წარმოადგენს, დაგვიანებანიბით, იმდაგვარებდა მაყურებლის უპატივცემულობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა... მაგრამ არის კი მაყურებელი?!

ყოვლისმცოდნე "სენს" ვერც სამტრედია და სამტრედიელები აცდნენ. უკვე ტრადიციად იქცა სხვადასხვა ღონისძიების, შეხვედრის, სპექტაკლის დაგვიანებით დაწყება. გაუთვალისწინებლობისგან არავინ ვართ დაზღვეულნი, მაგრამ როცა ზემოაღნიშნულ ფაქტს სისტემატური სახე მიეცემა, დაგვერწმუნებით, შემაწუხებელი, შეურაცხმყოფელიც კია მასზე თვალის დახუჭვა.

ბრძენკაცს უთქვამს: "ყველაფერზე რომ თვალი მოხუჭო, ასი თვალი მაინც უნდა გქონდეს"-ო. ამ სიტყვების რეალობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით 2015 წლის 3 აპრილს, როდესაც სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გამართული სპექტაკლის, "ნუგზარი და მეფისტოფელი" ჩვენებაზე მოგვიწია ყოფნა.

ნახევარი საათის დაგვიანებით დაწყებულ წარმოდგენაზე, არც პარტერში მსხდომთა რაოდენობა გახლდათ სახარბიელო. ჩვენთვის კარგადაა ნაცნობი რამდენ ჭირს XXI საუკუნეში თეატრით დაინტერესებულთა ხილვა, თუმცა ყველაფერს აქვს სახღვარი.

მართალია, ამ საკითხში ცალკეულად ვერც ერთ მხარეს ვერ გავამტყუნებთ, იქნება ეს მაყურებელი თუ მასპინძელი, მაგრამ პრობლემური რეალობა რომ გამოსწორებას საჭიროებს, ამაში საწინააღმდეგო აზრის არსებობა არარეალურად მიგვაჩნია.

სიზიფეს შრომაა ყოველი შემოქმედისთვის დასახული მიზნის ხორცშესასხმელად დახარჯული ენერგია, თუ მას შემფასებელი არ ეყოლა. შემფასებელი კი — სათანადო პირობების არქონის გამო მუდამ მოაკლდება მსახიობს, მომღერალს, მხატვარს, კომპოზიტორს...

ვწერთ, წერტილის დასმა გვიჭირს, ამ პრობლემის სასვენი ნიშანი მრავალწერტილია...

შორენა ჯაჯანაძე



# ლურჯი აპრილი...

**ლევან გაბეჩავა**

1989 წლის 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ტრაგიკული ფურცელია. ამ დღეს საბჭოთა იმპერიის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა, საქართველოს თმაჭაღარა დედაქალაქ თბილისში ორლესული ნიჩბებითა და ხელკეტებით სიცოცხლეს გამოასალმეს მშვიდობიანი მომიტინგენი _ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას რომ მოითხოვდნენ. ასობით მოქალაქე მხუთავი გაზით მოიწამლა. სისხლიანი კვირის ინიციატორები სამძიმრის დეპეშებს გზავნიდნენ თბილისში. ერთ მუშტად შეკრა ამ მოვლენამ სრულიად საქართველო.

მლის ინიციატორები ბიბლიოთეკარი ქალბატონები თამარ ნასარეია და ნანა ჭითავა იყვნენ, საღამოში მონაწილეობდნენ დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო და სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები.

გააზრებული მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია, მონაწილეთა გამართული, ლაკონური მეტყველება, დაღუპულთა ფოტოები, სანთლები, ტიტები... ერთი სიტყვით, ჩვენ თვალწინ გაიელვეს ნაცნობმა მოვლენებმა. იყო ემოცია, სამშობლოსადმი ერთგულების ფიცი და იმედი, იმედი იმისა, რომ საქართველო არასოდეს დაიჩოქებს, ვერავინ დააჩოქებს ჩვენს ერს.

ამ ლამაზ, თუმცა სევდიან დღეს კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ, რომ გადაშე-



1989 წლის 9 აპრილი და მსგავსი მოვლენები გახდა საბჭოეთის დასასრულის დასაწყისი.

გავიდა 2 წელი და საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე, ამით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, სხვა დატვირთვა შეიძინა 9 აპრილმა.

26 წლის წინ დაღუპულნი, მამულის სამსხვერპლოზე სიცოცხლის ზვარაკად მიმტანი პატრიოტები გაიხსენეს 3 აპრილს სოფელ დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე "ლურჯი აპრილი, გარდასულ დღეთა", რონება არ გვიწერია, რამეთუ ჩვენში არ ივიწყებენ გმირებს, არ ივიწყებენ მოვლენებს, ძირეულად რომ შეცვალეს ქვეყნისა და ერის ბედი.

უდავოდ ქების ღირსია დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ბატონი თამაზ ნუცუბიძე, რომელიც არაერთხელ მოგვვლენია შემეცნებით-ინტელექტუალური და მხატვრული ღონისძიებების ინიციატორად და ორგანიზატორად. სწორედ მან შეიტანა ლომის წილი ღონისძიების მომზადებაში.

გულგრილი არავინ დაუტოვებია სახელოვნებო სკოლის ფოლკლორული ანსამბლის მიერ შესრულებულ ნომრებს, რისთვისაც მადლობასა და მოწონებას იმსახურებს პედაგოგი, ქალბატონი შორენა რაზმაძე, რომელიც საოცარი სიყვარულითა და რუდუნებით ეკიდება საყვარელ საქმეს.

ცეროდენა ქართველებმა ცეცხლოვანი ქართული ცეკვა შეასრულეს, ქორეოგრაფი, ბატონი ზაზა ვაჩეიშვილია.

9 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრა და ღონისძიების ორგანიზატორებს, მონაწილეებს მადლობა მოახსენა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა.

3 აპრილს დიდ ჯიხაიშლებმა სევდით მოიგონეს "ლურჯი აპრილი გარდასულ დღეთა".

# ქრისტე აღდგა!



აღდგომა უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი უმნიშვნელოვანესი საუფლო, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე პერიოდში.

ბრწყინვალე დღესასწაულს წინ უსწრებს დიდმარხვა, რომელიც მორწმუნეებს აღდგომის შესახვედრად ამზადებს.

აღდგომის დღესასწაული ერთ კვირას (ნათელი კვირა) გრძელდება, ახალკვირამდე (კვირაცხოველი).

სააღდგომოდ კვერცხის წითლად შეღებვას უძველესი ტრადიცია აქვს. წითელი ფერი მორწმუნეთათვის ქრისტეს მიერ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის დანთხეული სისხლის მოსაგონარია, კვერცხი კი, სიმბოლო მარადიული სიცოცხლისა.

უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ბრწყინვალე დღეს, მიმდინარე წელს 12 აპრილს აღვნიშნავთ.

ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში შესაბამისი ღვთისმსახურება ტარდება.

აღდგომილმა მაცხოვარმა დაგვიცვას და გაგვაძლიეროს.

ქრისტე აღსდგა!

ლევან გაბეჩავა



# ორნამენტები ხევსურული ქარგვიდან

**ნათია ნაცვლიშვილი**

ცნობილია, რომ წმინდა მეფე თამარი მოწყალებას მხოლოდ საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაქარგებიდან გასცემდა და არა სამეფო ხაზინიდან. ხელსაქმე ასეთ მაღალ დონეზე იყო აყვანილი საქართველოში. ისტორიულად მას უძველესი ტრადიცია აქვს. რთვა, ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა, ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა, პატარძალს თავისი ნაქსოვი ხურჯინ-ჯეჯიმები და წინდები ქმრის ოჯახისათვის საჩუქრად მიჰქონდა.



ისევე როგორც ბევრმა ტრადიციამ, დროსა და სივრცეში ამ ტრადიციებმაც ცვლილება განიცადეს, მაგრამ ხელსაქმის სიყვარული თანამედროვე ქალბატონებშიც არ გამქრალა და ამის დასტურად ჩვენი ქალაქის ქუჩებში მოსიარულე მშვენიერი ქალბატონი, ნათია კაცაძე გვსურს წარმოგიდგინოთ, რომელიც შესანიშნავ ხევსურულ ორნამენტებს ქარგავს სამაჯურებზე, ჩანთებზე, ქუდებსა თუ სხვა ნივთებზე.

"ჩემთვის ქართულ ორნამენტთა ქარგვა წინაპართა ძახილია, მათთან საუბარი, ასე მგონია, არ გასულა საუკუნეები და დრო, უცვლელად შემორჩა ისტორიას ის ორნამენტები". _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი, რომელიც მხოლოდ ქარგვის ნიჭით არ დაუჯილდოვებია განგებას. ნათია ხანდახან მოძალებული სათქმელის ფურცლებზე გადატანასაც წარმატებულად ახერხებს. ხევსურული ორნამენტი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სახითაა წარმოდგენილი. მას ჩვენ ვხედავთ ხეზე, ქსოვილზე, ლითონზე, ნაწილობრივ ძვალზეც და ქვაზეც. რაც შეეხება ხევსურულ კოსტიუმზე ჯვრის ორნამენტს, უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრის ორნამენტი მოცემულია არა მარტო ხევსური მამაკაცის კოსტიუმზე, არამედ, ის ამდენადვე, თუ მეტად არა, გვხდება ხევსური დედაკაცის კოსტიუმზეც.

ხევსურულ ორნამენტებს ნათია რამდენიმე წელია ქარგავს. ამჯერად ნათია ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრის თანამშრომელია.

"მამა _ ფოტო-კინო ხელოვანია, დედა დიასახლისი, დაასრულა მე-3 სკოლა, გულთბილად იხსენებს პედაგოგებს დალი გიორგაძეს, ქეთინო მუქერიას, გიული ქორიძეს, ნონა ნაცვლიშვილს, ამ უკანასკნელს ეტალონ ადამიანად მიიჩნევს. ახლაც ვერ ივიწყებს, ამ მასწავლებლის მოყოლილ, მეფე-პოეტ გალაკტიონთან შეხვედრის ისტორიას. ქარგვა პატარაობიდანვე ისწავლა, მე-5 კლასიდან კი ჯვარედინი ქარგვის მეთოდებს დაეუფლა, ჯერ ანიმაციური პერსონაჟები მოქარგა, მერე ტექნიკა თანდათან დახვეწა.

ქუთაისის ტურიზმის აკადემიაში მარკეტინგის სპეციალობას დაეუფლა, პარალელურად დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ამ სასწავლებლის ერთ-ერთი ლექტორი ფილოლოგი ლიანა ლორია მას დაეხმარა, შემოქმედებითი აზროვნების გაღრმავებაში. მეორე კურსის სტუდენტი განსაკუთრებულად დაუახლოვდა თავისი ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორს, ქარგვის დიდ მოყვარულს, რომელიც თავის სტუდენტებს ქარგვასაც ასწავლიდა, კონსულტაციები ნათიასაც მისცა და შეასწავლა ჯვარედინი ქარგვა სქემით. მესამე კურსის სტუდენტმა თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში ერთ-ერთი წირვის დროს გაიცნო გოგონა, რომელიც ქართულ, ხევსურულ ორნამენტებს ქარგავდა. ამ უძველეს, მრავალფეროვან ორნამენტებზე მუშაობა ნათიას ქალბატონმა ელისო არაბულმა ასწავლა, ეს ქალბატონი სამების საკათედრო ტაძართან არსებული რეწვის სკოლის ქართულ ორნამენტების განყოფილების ხელმძღვანელია. ქალბატონმა ელისომ მოიწონა ნათიას პირველი ნამუშევრები: ქართულ ორნამენტებიანი ქუდი, სალოცავი წიგნის ჩასადები და სამაჯური, აგრეთვე, საეკლესიო ჩანთები.





"არსებობს ქართული ფერები, _ გვეუბნება ნათია, _ ესენია შაბიამნისფერი, ოქროსფერი, თეთრი, მწვანე, ნაცრისფერი, შინდისფერი, ხევსური ქალბატონები მთის წვერზე მოპოვებულ ბალახებში ხარშავდნენ შალის ძაფს, და ამ ბალახების ნახარშებიდან ღებულობდნენ თითოეულ ფერს.

ყველა ჩემს მიერ მოქარგული ორნამენტი გამოყენებულია როგორც ხეზე, ისე ქსოვილზეც. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ხევსურულ ორნამენტში ჯვარი მცირედი ფორმითაა წარმოდგენილი, ან ორნამენტი მთლიანად ჯვრის ფორმისაა. ხევსურული ტანსაცმელი გამოირჩევა თავისი საჭრელით, აქ წარმოდგენილია ვერცხლის მონეტები, მძივები, ღილები და ფერადი ძაფები თავისთავად. ხევსურული ტალავარიდან აღებული თითოეული ორნამენტით ვქმნი სხვადასხვა ნივთებს. ჩემმა მოძღვარმა დეკანოზმა დავით ტურძელაძემ მომცა კურთხევა, ჩემს მიერ მოქსოვილ სამაჯურში 90-ე და 50-ე ფსალმუნებიც ჩამედო. ასევე ვაკეთებ აბადოკებს, მაგრამ დედაოს თხოვნით, დიდი მოწიწებით ყველას ვაფრთხილებ ისინი ეკლესიაში არ გაიკეთონ, რადგან ქალს მანდილი კეფას უნდა უფარავდეს, ასევე ვქარგავ მცირე ზომის სურათებს, ჩემი მოქარგული ორნამენტებიანი ბოთლები შემთხვევით ნახა სამტრედიის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის იღუმენმა დედა სოფიამ და მოიწონა. სამტრედიაში სტუმრად იყვნენ ქ. სოჭის ფოლკლორულ ანსამბლ "იმერეთის" წევრები, ერთი ორნამენტიანი ბოთლი მათ გადავეცი. მათ ძალიან მოეწონათ ეს საჩუქარი. _ ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

ნათიას ნამუშევრების უმრავლესობა გაყიდულია, მუშაობს კერძო შეკვეთებზეც. ამჯერად მუშაობს რამდენიმე თემატიკაზე. მომავალში არც გამოფენის გამართვას გამორიცხავს.



# მაესტრო

ქეთევან ქელიძე

## ის თამაზ დუნდუა იყო

დამღლელი რეპეტიციების შემდეგ განსაკუთრებული კონცერტისთვის ემზადებოდა. ბოლომდე არ ამხელდა, რა სიურპრიზს უმზადებდა მსმენელს. არავინ დაიხმარა. წინა დღით თავისი ხელით შევსებული მოსაწვევი ბარათები დაურიგა თანამშრომლებს. როგორც ყოველთვის, ახლაც ჩქარობდა. კულტურის სახლში თავისი ანსამბლის, ''იმედის'' მუსიკალური ინსტრუმენტები გადაჰქონდა. ნაწილი წაიღო. ელიკო ანკვაბს დაუბარა, მალე დავბრუნდებიო.

ველარ დაბრუნდა... მოკვდა ისე, როგორც კვდებიან დიდი ხელოვანები _ სცენაზე ასასვლელ კიბეზე გულმა უმტყუნა.

ცუდი სიურპრიზი გამოუვიდა. მეხის გავარდნას ჰგავდაო. _ ნაირა ქორიძემ.

მასზე წერილის დაწერა რომ ჩავიფიქრეთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს მივაშურე.

ამ სახლს ერთ დროს თამაზ დუნდუას გარეშე არ შეეძლო.

ამ სახლიდან დაიტირა იგი მთელმა სამტრედიამ უკანასკნელად.

გარდაცვალებიდან 22 წლის შემდეგ მასზე მოგონებებსაც ამ სახლიდან ვიწყებთ.

12 აპრილს 65 წლის გახდებოდა. 43 წლისა გარდაიცვალა. სამტრედიაში დაიბადა ბატონი თამაზი. ''ნახალოვკაში'' გაატარა ბავშვობა და ახალგაზრდობა. გამორჩეული იყო თავისი მუსიკალურობით. ხუმრობდა: სამუსიკო სკოლაში სამიანებზე ვსწავლობდიო. საშუალო განათლება ამიერკავკასიის რკინიგზის მე-14 საშუალო (მე-12 საჯარო) სკოლაში მიიღო. აქტიური მოსწავლე იყო. რკინიგზის კულტურის სახლი შემოქმედებითად ნიჭიერი ადამიანების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა და თამაზ დუნდუაც მისი განუყრელი ნაწილი გახლდათ. აქ მან ჯერ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ''ექსპრესი'', შემდეგ კი ''ცისარტყელა'' ჩამოაყალიბა. მუსიკით ცოცხლობდა. ხშირად სიმღერებისთვის ტექსტსაც თვითონ წერდა და კომპოზიციასაც ჰქმნიდა. სიახლეების მაძიებელმა, სამტრედიელები ჯაზსაც პირველმა აზიარა. ''მზიურის'' შემდეგ კი მისი ''იმედი'' მთელ საქართველოში ერთადერთი ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი იყო. მას საზღვარგარეთაც უკრავდნენ ტაშს.

თამაზ დუნდუა ერთი კონკრეტული საქმით არასდროს იფარგლებოდა. ის ყველგან იყო, კულტურული ცხოვრების ნებისმიერ უბანზე ტრიალებდა და თავს ყველაფერს მაღალი პროფესიონალიზმით ართმევდა. მუსიკალურობით, ერუდიციით, იუმორით, გულწრფელობით, ერთგულებითა და კიდევ სხვა მრავალი ადამიანური ღირსებით ყველას იზიდავდა, სასურველი მეგობარი და ახლობელი ხდებოდა. კეთილმოსურნეებს შორის ზოგჯერ მოშურნეც გამოერეოდა, დაუმსახურებლად გულს რომ სტკენდა. აქაც ღირსეული იყო _ მე ჩემი საქმე გამომაჩენსო, იტყოდა მხოლოდ. საქმე კი უამრავი ჰქონდა გამთენიიდან შუაღამემდე. ყველაფერს ასწრებდა: ანსამბლთან მუშაობას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სკოლებში _ სიმღერის გუნდებთან, მრავალრიცხოვან კონცერტებსა და გასტროლებში მონაწილეობას. ზრუნვას ოჯახზე, ნაცნობ-მეგობრებზე; ახალ-ახალი იდეებით სავსეს, ყველაფერი საუკეთესო ემეტებოდა სამტრედიისთვის. ნიჭიერ ადამიანებს ეძებდა, ხელს უწყობდა და პროფესიული თვალსაზრისით აკვალიანებდა. თვითონაც, ლამის, ლეგენდად იქცა. ამგვარი შეფასება გადაჭარბებული რომ არ არის, ის მოგონებებიც დაგიდასტურებთ, ამ წერილში რომ შემოგთავაზებთ.



ძალიან ცოტა იცოცხლა, მაგრამ ბევრი იცხოვრა, იცხოვრა თავისთვის და სხვებისთვის, მათი სიხარულით თუ მწუხარებით, წარმატებებით თუ წარუმატებლობით. და მაინც ღიმილით, იმიტომ, რომ ის თამაზ დუნდუა იყო, არა ერთადერთი, მაგრამ ერთეული.

## დიდი ხელოვანის ბედია, ალბათ!

ცრემლნარევი სინანულით იგონებს ჩვენთან საუბარში თამაზ დუნდუას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილე ელიკო ანკვაბი: ''იგი აქ ქალბატონმა მაყვალა ჩაჩუამ მოიყვანა. მისი ყოფილი პიონერი იყო და როგორც ნიჭიერ ადამიანზე, პირველი შთაბეჭდილებაც მასზე მან შეგვიქმნა. ბავშვობიდან ლიდერის თვისებებით გამოირჩეოდაო, _ ამბობდა. განსაკუთრებით მინდა, ვთქვა, რომ თამაზი ქალისა და მამაკაცის მეგობრობის უტყუარ მაგალითებს იძლეოდა. ''კაცი



ანა აბზიანიძე

ორკესტრი'' _ ასე ვეძახდით მას. თბილისში, ფილარმონიაში კონცერტი რომ უნდა გაგვემართა, 12 სხვადასხვა სპეციალისტი მოგვთხოვეს: ოპერატორი, რადიოინჟინერი და ა. შ. როცა ვუთხარით, ყველას მოვალეობას თამაზი შეასრულებდა და თანაც ორკესტრის ხელმძღვანელიც ის იყო, გაოცებულები დარჩნენ.

შემოქმედი ადამიანი გახლდათ. უმაღლესი მუსიკალური განათლება არ ჰქონია, მაგრამ საორკესტრო ინსტრუმენტებისთვის პარტიტურას თვითონ წერდა. რობერტ ბარძიმაშვილმა ჩვენს ანსამბლს რომ მოუსმინა, თამაზი ''იმედთან'' ერთად სათანამშრომლოდ ბაკ ''საპოვნელაში'' მიიწვია. იქ ცნობილი მომღერალი თავის მოსწავლეებთან ერთად ისვენებდა. ასეთი თვისებაც ჰქონდა თამაზს, თუ სადმე ნიჭიერ ადამიანს ნახავდა, გვერდით დაიყენებდა. ძალიან კარგი პედაგოგიც იყო, იცოდა ბავშვის ფსიქიკა. მარტო მუსიკას კი არ სწავლობდნენ მისგან, ცხოვრებისეულ გაკვეთილებსაც აძლევდა მათ. არავის არასდროს დაამცირებდა. შენიშვნას ისე მოგცემდა, თავს დამცირებულად, ღირსებაშელახულად არ ჩათვლიდი. ბევრი სხვა გამორჩეული თვისებაც ჰქონდა. საუკეთესო მამა იყო. ყველაფერი კარგი შვილებისათვის ემეტებოდა. მიკვირდა, დატვირთული სამუშაო დღის შემდეგ დილაადრიან თუ როგორ გარბოდა მაღაზიაში, რძესა და სხვა საჭირო რაღაცეებს მოიმარაგებდა, იქ მათ ჩააპურებდა, მერე გამოიქცეოდა სამსახურში და გვიანამდე მუშაობდა. ძალიან ბევრს შრომობდა. მის ''იმედელებს'' ყველა საბჭოთა რესპუბლიკა ჰქონდათ მოვლილი. ოჯახიდანაც უწყობდნენ ხელს. პატარა გოგო იყო გულო ჩაჩავა, ცოლად რომ შეირთო, მაგრამ ალღო აუღო მისი ცხოვრების წესს. ვიცი, რომ თბილისში ჩატარებული კონცერტების შემდეგ თამაზი ''მზიურის'' ხელმძღვანელმა სამუშაოდ თავისთან მიიწვია, მაგრამ არ წავიდა. ყველა ბგერაში გულს დებდა. იმერეთსა და დედაენაზე არაჩვეულებრივი სიმღერები დაწერა. მთელი ღამე გაათენეს მან და ვალერი წულუკიძემ, რომელიც იმ დროს კომკავშირის სამტრედიის რაიკომის მესამე მდივანი იყო და დილით ტექსტი უკვე მზად ჰქონდათ.

ძალიან ბევრი ადამიანი დააყენა თამაზ დუნდუამ ფეხზე. სწორ მიმართულებას აძლევდა მათ შემდგომი განათლებისთვის. მახსოვს, როგორი აღფრთოვანებით ეუბნებოდა ქალბატონ მაყვალას ნოდარ ზამთარაძეზე _ ''ბეთჰოვენაზე'': ისეთ ადამიანს მოგიყვან, მთელ რესპუბლიკას აალაპარაკებსო. მაყვალაც ყოველთვის პატივს სცემდა მის აზრს. საოცარი მეგობრობა იცოდა. შეიძლება, თვითონ მას საშუალება არ ჰქონოდა, მაგრამ არც ერთი მეგობრის გასაჭირი არ გამოეპარებოდა. ისე უშურველად გასცემდა სიკეთეს, თუნდაც ამიტომ გიჩნდებოდა მასთან დაახლოების სურვილი. უბრალოდ, რაიმე კარგ ნივთს რომ ნახავდა, ყველას გააგებინებდა, რათა შეეძინათ იგი. ზედმიწევნით იცოდა, რომელ რაიონში კარგი ხარისხის რომელი ინსტრუმენტული საკრავი იყიდებოდა. ხატავდა კიდეც. შვილი რომ გარდაეცვალა, ქუთაისში წავედით, ქანდაკება უნდოდა გოგონასათვის დაედგა. სახელდახელოდ ისეთი ესკიზი დახატა, მოქანდაკემ უთხრა, სურათიც რომ არ ვნახო, შევძლებ გამოქანდაკებასო.

ბევრს კითხულობდა. არ არსებობდა მხატვრული ლიტერატურა, მას რომ არ ჰქონოდა. ჩვენც გვაკითხებდა. თავისი აზროვნებით დროს უსწრებდა. ჯერ კიდევ მაშინ შეიმუშავა საზოგადოება ''იმედის'' წესდება. მოვლენებს წინასწარ სჭვრეტდა. სამწუხაროდ, არ დასცალდა. დიდი ხელოვანის ხვედრია, ალბათ, თეატრში სიკვდილი''.

## მის მიბაძვას ყველა ცდილობდა

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ტატა გოგუაძე ანსამბლ ''იმედის'' მეორე თაობის წევრია. თამაზ დუნდუა მისთვისაც ტკივილიანი მოგონებაა: ''ყველაფერი გულთან მიჰქონდა, ძალიან მგრძნობიარე იყო, თანაც _ მაქსიმალისტი. თუ რამეს ხელს მოჰკიდებდა, მაღალ დონეზე აკეთებდა. მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-12 ფესტივალზე ვიდრე წაგვიყვანდა, ახალი ინსტრუმენტები შეგვიძინა. იქ რომ ჩავედით, სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულები გაოცებულები დავტოვეთ. ''მზიურმა'' გალა კონცერტზე ჩვენი ინსტრუმენტებით დაუკრა. საოცარი ადამიანი იყო, ყოველთვის ახერხებდა გასტროლებზე ჩვენს წაყვანას. ერთხელ იმდენი ჰქნა, სამინისტროდან მოაგვარა საქმე და სუხიშვილების მესამე თაობასთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში გავემგზავრეთ. ბევრი კონცერტი გავმართეთ. მოსკოვში წასვლა ხომ ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა!

ძალიან კარგი მეგობარი და პედაგოგიც იყო. ბავშვებს შიში კი გვქონდა მისი, მაგრამ ძალიან გვიყვარდა. სულ ერთად ვიყავით. გასვლითი კონცერტების წინ მთელი დღეები ვმეცადინეობდით და სახლში თითქმის ვერ მივდიოდით. აქვე რესტორანთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, გადაგვიყვანდა და გვასადილებდა. ბევრ ცნობილ მომღერალთან ერთად გვიწევდა კონცერტებში მონაწილეობა. სადაც კი გამოვდიოდით, შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ისინი მისი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, ჩვენით აღფრთოვანებას რომ გამოხატავდნენ.

მისი ანსამბლის წევრები დღეს ცნობილები არიან: ანა აბზიანიძე, ქეთი დარსაველიძე, რომელიც ქუთაისში მუსიკალურ ცენტრს ხელმძღვანელობს, მარინა მუმლაძე _ ''ჰერიოს'' ხელმძღვანელი.

ისეთი ჭკვიანი იყო, მის მიბაძვას ყველა ცდილობდა. როცა დღეს ანა უკრავს, თითქოს თამაზის ბგერა ჟღერს. მინდა გითხრათ ისიც, რომ ძალიან ბევრი უცხოური სიმღერების დისკი ჰქონდა. ენერგიული და მაძიებელი კაცი იყო. მის ხელში, ალბათ, დღესაც არაფერი გაგვიჭირდებოდა''.

## ,,შენი ჭირიმე სიკვდილო''...

მახსენდება, ოჯახის უახლოესმა ქალბატონმა, პედაგოგმა ლილი გოგიძემ რომ გვითხრა: რკინიგზელთა დასახლებაში ცხოვრობს უაღრესად მუსიკალური და ნიჭიერი ახალგაზრდა, თამაზ დუნდუა, რომელსაც გიტარის შეძენის შესაძლებლობა არა აქვს და მის მიერ დამზადებული თვითნაკეთი ინსტრუმენტით ვარჯიშობსო, უმალ დავინტერესდით და შევძელით მისი ოცნების ასრულება. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობმეგობრობა.

მუდამ მოფუსფუსე, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული, ბავშვთა მუსიკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ ''იმედის'' დამაარსებელი და შემოქმედებითი გამარჯვებების მომტანი, თვითნასწავლი კომპოზიტორი და შემსრულებელი, უკიდეგანო ფანტაზიის მქონე ახალგაზრდა იყო. მიკვირს, როგორ ასწრებდა, მისი ცხოვრების დიდი ნაწილი მიეძღვნა მუსიკისთვის მის მრავალსულიან ოჯახთან ერთად. განსაკუთრებული და მზრუნველი მამა იყო, ყურადღებიანი მეგობარი. ბატონმა თამაზ იმედაძემ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად გადაუწყვიტა უმ-



თამაზ დუნდუა მაყვალა ჩარჩუასთან და ნაირა ქორიძესთან

თავრესი პრობლემა და ანსამბლს მაღალი ხარისხის ინსტრუმენტები და აპარატურა შეუძინა. იმედაძის სხვა სამუშაოზე გადასვლის შემდეგ, მისი დროებითი საცხოვრებელი ბინა ბატონი თამაზ მიქაძისა და უწყებრივი სამსახურის შეთანხმებით თამაზ დუნდუას ოჯახს მუდმივ მფლობელობაში გადაეცა. ვფიქრობ, ეს ფაქტიც საკმარისია, მის ავტორიტეტსა და რაიონის ხელმძღვანელების მხარდაჭერაზე ვილაპარაკოთ.

არ დამავიწყდება, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ''მომავლის პარკის'' ტერიტორიაზე შევხვდით ერთმანეთს. მოვიკითხეთ, მისი ფერი არ მომეწონა, თუმცა, ჩვეულ ამპლუაში იყო, მომავალ გეგმებზე ხალისიანად საუბრობდა. თავისი სიმღერების ჩანაწერსაც შემპირდა. მაგრამ მალე სამტრედიაში დაისადგურა მწუხარებამ. დაუჯერებელი იყო მისი ამ ქვეყნიდან წასვლა. ''შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა''. შეუძლებელია, დაივიწყო თავის პროფესიაში ჩაძირული კაცი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი ოჯახი, მშობლიური ქალაქი და სამტრედიელები. ჩვენც ვერასდროს დავივიწყებთ მას.

აქვე გავიხსენებ: ესთეტიკური აღზრდის ცენტრს ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი პიროვნებები. ერთ-ერთი იყო პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე. თამაზ დუნდუამ გააოცა მრავალმხრივობითა და მუსიკალურობით. მან სტუმარს თავისი სიმღერის ჩანაწერი მოასმენინა დედაზე, რამაც ძალიან იმოქმედა ბატონ თემურზე, სიგარეტს მოუკიდა და ბოლთის ცემას მოჰყვა. გაირკვა, რომ ახალი გარდაცვლილი ჰყოლია დედა. მოკრძალებით სთხოვა თამაზს სიმღერის ფირზე ჩაწერა. მანაც ოპერატიულად გააკეთა ეს. ერთხელაც, თამაზ დუნდუამ ბორჯომის ერთ-ერთ სანატორიუმში დასასვენებლად წასულ ცოლ-შვილს ჩააკითხა. სანატორიუმის ეზოში თავისი სიმღერა შემოესმა დედაზე. მოულოდნელობისაგან შეცბა. მაშინვე მივიდა სტუდიაში და იკითხა, საიდან ჰქონდათ ეს ჩანაწერი. გაირკვა, რომ იქ ისვენებდა ბატონი თეიმურაზ ფანჯიკიძე, რომელსაც უთხოვია, ყოველდღე გაეჟღერებინათ ეს სიმღერა რადიოთი. თამაზი უმალ გახალისდა და ბატონ თეიმურაზს ეწვია. ამის შესახებ ის სიამაყით და სიყვარულით საუბრობდა''.

## რაც ვარ ამ ქვეყნად, ვარ თამაზით!

3 წლის იყო ანა აბზიანიძე, თამაზ დუნდუამ მას საბავშვო ბაღების დათვალიერებაზე რომ მოუსმინა. ისე მოიხიბლა პატარა გოგოს ხმით, სცენიდან ხელში აყვანილი გადმოიყვანა. ყველაფერი გამოჰკითხა და მალე ''იმედის'' პირველი თაობის გვერდით დააყენა. ''მამასავით მიყვარდა, _ გვეუბნება ანა, _ მამაჩემის გარდაცვალებაც ზუსტად ისე მეტკინა, როგორც მაშინ _ თამაზის''.

დღეს ანაა ანსამბლ ''იმედის'' ხელმძღვანელი და თავისი ვოკალითაც ხშირად ანებივრებს მსმენელს. ''სულ ანუში, ანუშკის მეძახდა. მიმეორებდა, სკოლას რომ დაამთავრებ, კონსერვატორიაში წაგიყვანო, იქ უნდა ისწავლოო. თავისუფალ დროს კი გვერდით დამიდგები და რეპეტიციებს ერთად გავაკეთებთო. კარგი თამაზ, რა კონსერვატორია-მეთქი, რომ ვეტყოდი, აუცილებლად ასე უნდა მოხდესო, მეუბნებოდა. იმდენი იდეა ჰქონდა და იმდენი რამის გაკეთება შეეძლო!

საერთოდ ყველგან მამაჩემი დამყვებოდა კონცერტებზე, როცა ვერ მოახერხებდა წამოსვლას, თამაზი იყო ჩემი მამაც და დედაც. თვითონ მაბანავებდა კიდეც, თვალებში მომჩერებოდა, ჩემთვის ყველაფერი საუკეთესო ემეტებოდა. საჭმელსაც კი სუფრაზე პირველს მე გადმომიღებდა. ყველაზე პატარა ვიყავი და ჩემზე განსაკუთრებით ზრუნავდა. ძალიან მიყვარდა.

გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ, გულომ და მაყვალა ჩაჩუამ მითხრეს, კვარტეტი ჩამომეყალიბებინა. ამას ვერ შევძლებ-მეთქი, ვთქვი. იმ წელს დავამთავრე სკოლა, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, თან არც გამოცდილება მქონდა, მაგრამ რადგან თამაზი მეუბნებოდა, ჩემს გვერდით უნდა იყოო, პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. მთელი ღამე ფიქრსა და ნერვიულობაში გავატარე, წამეძინა და სიზმარი ვნახე, მოვიდა თამაზი და მასწავლა, როგორ უნდა დამელაგებინა კვარტეტის ხმები. გათენდა თუ არა, გამოვიქეცი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, მივუჯექი პიანინოს და ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მან მითხრა. მართლაც გამოვიდა. ეს იყო ჩემი პირველი სიმღერა კვარტეტისთვის _ კოკელაძის ''იმერეთი''. მას შემდეგ ვაწყობ 4 ხმაში სიმღერას. ვფიქრობ, რომ ის იმ წუთშიც ჩემს გვერდით იდგა.

უკეთილშობილესი ადამიანი იყო, მსგავსი არავინ მინახავს, ინტერესიანი და ზებუნებრივად ნიჭიერი. ღამეს გაათენებდა და საქმეს გააკეთებდა. მისი გარდაცვალება რომ გავიგე, შოკირებული ვიყავი, მთელი კვირა ოჯახში სამგლოვიარო განწყობა იდგა. ბავშვობაში ''საქანელას'' ვმღეროდი ''იმედში'' და იმ სიმღერაზე გაასვენეს. მიხარია, რომ ამბობენ, თამაზ დუნდუას როცა ახსენებენ, მასთან შენ ასოცირდებიო.

ძალიან მინდა, ისე ვუკრავდე, როგორც ის უკრავდა, თუმცა, ვიცი, მისნაირი ვერასოდეს ვიქნები, პიანინოსთან ყოველთვის გვერდით ვუჯექი და ვცდილობდი, მისი დაკვრის მანერა გადამეღო.

თამაზი ჩემია-თქო, ვამბობ ხოლმე, მაგრამ ის ყველასია. საერთოდ, რაც ვარ ამ ქვეყანაზე, ვარ თამაზით! გული მწყდება, რომ ასეთ კოლორიტ ადამიანებს სათანადოდ ვერ ვაფასებთ. კარგი იქნებოდა, შესაფერისი ღონისძიება მოგვეწყო და პატივი მიგვეგო მისი ხსოვნისათვის''.

## მსგავსი მელომანი მე არც კი შემხვედრია

საქართველოს გზების მოდერნიზაციისა და რეაბილიტაციის სამსახურის ზედამხედველი, ბატონი ვალერი წულუკიძე და თამაზ დუნდუა ერთმანეთს მოსწავლეობის პერიოდიდან იცნობდნენ. ''კომკავშირის რაიკომში ჩემი მუშაობისას კი, როგორც სამსახურებრივი, ისე მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა. _ დასძენს ბატონი ვალერი. როცა თამაზი ერთი რომელიმე სკოლის გუნდს ხელმძღვანელობდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცდილობდა პირველ ადგილზე გასვლას, იგი პროფესიულ შენიშვნებსა და რჩევებს აძლევდა სხვა გუნდებს, რასაც, ცხადია, ითვალისწინებდნენ. ყველა სკოლას უნდოდა, თამაზი მასთან სამუშაოდ მიეწვია. მისი მომზადებული გუნდები რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებებში იმარჯვებდნენ. უანგარო, ძალზე საიმედო იყო ჭირშიც და ლხინშიც.

ბავშვობაში იგი ნამდვილი ვუნდერკინდი გახლდათ. მსგავსი მელომანი მე არც კი შემხვედრია, ვინც ისე იცოდეს ფოლკლორი, ხალხური სიმღერები. ძლიერი ლოტბარი და ინსტრუმენტალისტი იყო. თვითონ წერდა მუსიკას და იცნობდა ყველა ცნობილი მუსიკოსის რეპერტუარს. მრავალფეროვანი პროგრამა ჰქონდა, შეეძლო რამდენიმე კონცერტზე სხვადასხვა პროგრამით წარმდგარიყო. რესპუბლიკის დონეზე მოსწავლეებისთვის ადგილებზე საქალაქო ბანაკები არსებობდა. საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიებები იმართებოდა. თამაზი იქაც აქტიურად იყო ჩართული. გარდა საშემსრულებლო ოსტატობისა, იგი გამორჩეული პედაგოგიც იყო.

მას თევზაობა არ უყვარდა, მაგრამ ყოველთვის დაგვყვებოდა, რომ მეორე განყოფილება გაელამაზებინა, ეხალისა და ჩვენც გავეხალისებინეთ.

განუმეორებელი ადამიანი გახლდათ!''

## ეს არის კაცი ორკესტრი

''ყოველმხრივ განათლებული, ენციკლოპედიური ცოდნის პატრონი იყო თამაზი, _ გვიამბობს სამტრედიის ეთნოგრაფიული მუზეუმის მთავარი სპეციალისტი გულნარა ცინცაძე. ნებისმიერ საკითხზე პროფესიონალზე ნაკლებად არ გაგცემდა პასუხს.

საზღვარგარეთ საგასტროლოდ წასვლამდე ''იმედის'' შესამოწმებლად თბილისიდან ჩამოვიდნენ. რომ მოუსმინეს მის ანსამბლს, იკითხეს: საქსაფონზე დაკვრას ვინ ასწავლისო, თამაზითქო ვუპასუხეთ, კლარნეტზეო, ისევ თამაზისკენ მივუთითეთ. ყველაფერზე თამაზი, თამაზი, რომ ვუძახეთ, ის კაცი შეეჭვდა, სხვებთან გადაჯდა და ახლა იმათ დაუწყო გამოკითხვა. მერე სუფრასთან თამაზმა რომ ცაბაძის ''ჩემო თბილის ქალაქო'' ავტორის მიბაძვით იმღერა, სტუმრებმა აღფრთოვანება ვერ დაფარეს: ეს რა ვნახეთ, ეს არის კაცი ორკესტრიო.

ჩემი და თამაზის დაბადების დღე 12 აპრილსაა. სამსახურში ერთად აღვნიშნავდით. ჩემს პატივსაცემად პოპურს და დები იშხნელების სიმღერას შეასრულებდა. გია მახნიაშვილს, რომელიც მასთან მუშაობდა და მეგობარიც იყო, ეტყოდა: ჩემი ოთახიდან ოლიას გიტარა გამომიტანეო. ოლია დედამისი იყო და მისი ნაქონი ბანტიანი გიტარა კედელზე ეკიდა. კარგ ოჯახში იზრდებოდა, მოფერებასა და სიყვარულში. დეიდა ჰყავდა, ნინიკო, მასწავლებელი იყო. მან დაუტოვა დიდი ბიბლიოთეკა, თვითონაც ბევრ წიგნს ყიდულობდა.

რუსულ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდა ძირითადად. მაშინ ინფორმაციის ვაკუუმი არსებობდა, მაგრამ ევროპას ძალიან კარგად იცნობდა. კარგად იცოდა ასევე, სად და როგორ შეიძლებოდა ბუკლეტის, ან თუნდაც, სხვა რამის დაბეჭდვა, რაც მე სამსახურისთვის მჭირდებოდა, კარგი კონსულტაციის გაწევა შეეძლო. ის რომ ცოცხალი იყოს, ბევრ რამეში გამიწევდა დახმარებას.




ერთხელ შემომთავაზა, ვიდეოფილმი გადაგვეღო ჩვენი ეთნოგრაფიული კაბინეტისთვის. ყველაფერი ისე კარგად და ხარისხიანად გააკეთა, ის ფილმი შემდეგ სხვადასხვა ღონისძიებაზეც გამოვიყენეთ.''

## მატარებელში რომ დასხდებით, მერე დავიჯერებ!

თამაზ დუნდუას შესახებ შპს ''სამტრედიის მაცნეს'' დირექტორს, ბეჟან გოგიას ბევრი აქვს სათქმელი. ის იმ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ ''ცისარტყელას'' პირველი თაობის წევრია, თამაზმა რომ შეჰქმნა და ევროპული მუსიკის ხმაურიანი ჟღერადობით გადაუარა სამტრედიას.

''უნიკალური პედაგოგი იყო, _ გვიხასიათებს მას ჩვენი რესპონდენტი, _ განათლებული, ერუდირებული, თავგადაკლული ჯაზმენი. ანსამბლ''რეროში'' ჯაზმენ გივი გაჩეჩილაძესთან ჩადიოდა და მეცადინეობდა. მან შემოიტანა სამტრედიაში დიუკ ელინგტონის, ლუი არმსტრონგის, ბიბი კინგისა და სხვათა მუსიკა. წარმოგიდგენიათ? კონტრაბასს ფლობდა. არ მეგულება ჩვენთან ადამიანი, ამ ინსტრუმენტზე რომ უკრავდეს. მისი შრომისმოყვარეობა გვაოცებდა. ყოვლისშემძლე ადამიანი იყო, დიდი მაესტრო. რასაც ჩაიფიქრებდა, აუცილებლად შეასრულებდა. მაშინ არ იშოვებოდა და თავის ხელით გაკეთებულ ბას-გიტარაზე უკრავდა. ორიგინალურისგან ვერ გაარჩევდით ჟღერადობით, ლამაზიც იყო. საზღვარგარეთ წაგვიყვანა, ეს შეუძლებელი გახლდათ იმ პერიოდში. რკინიგზელთა კლუბის დირექტორმა, კოლია კაკაბაძემ უთხრა: მატარებელში რომ დასხდებით, ამას მერე დავიჯერებო. ახალგაზრდული მიწვევა გაგვიკეთა და რუმინეთში წავედით. იუმორის უდიდესი გრძნობა ჰქონდა. ვიდრე მეცადინეობას დავიწყებდით, რამდენიმე ანეკდოტს მოგვიყვებოდა, თვითონაც იგონებდა ანეკდოტებს. სულ მხიარული იყო, თუმცა, ყოველთვის არ ჰქონდა სამხიარულოდ საქმე. მისი უხარმაზარი ბიბლიოთეკიდან ხშირად ვილებდით წიგნებს და ჩუმად ვკითხულობდით. ჰერლუფ ბიდსტრუპი, ცნობილი კარიკატურისტის 4 ტომეულიც პირველად იქ ვნახე. სამტრედიაში კი არა, საქართველოშიც არ იშოვებოდა მაშინ ეს წიგნი. ულირალს გადაიხდიდა, ოღონდ წიგნი ეყიდა.

ქალაქის მერად რომ ვმუშაობდი, მაშინ მას მოლაპარაკებები ჰქონდა ჯულია ლენონთან, ჯონ ლენონის შვილთან. სამტრედიაში მის ჩამოყვანას აპირებდა. ეს ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო, მაგრამ მითხრა, რასაც ვიტყვი, რომ შევასრულებ, ხომ იციო. მართლაც სიტყვის კაცი იყო. მერე მალე გარდაიცვალა.

ერთსაც გეტყვით: რკინიგზელთა კლუბში სკამები მოძველდა, სამწუხაროდ, ისე, რომ ხალხი ფეხზე დამდგარი უყურებდა ფილმებს. კოლია კაკაბაძეს წამოსცდა, რომ რკინიგზას ერევნის ხე-ტყის კომბინატი ამარაგებდა მსგავსი ინვენტარით. თამაზმა უთხრა, მე მოვიტან სკამებსო. არც ეს დაუჯერა კოლიამ, შენ ვინ მოგცემსო. რკინიგზის განყოფილებაში მან საჭირო დოკუმენტებს თავი მოუყარა და ერევანში წავიდა. ერთ დღესაც ვხედავთ, ახალი სკამებით დატვირთული მანქანები მოადგა კლუბს''.

## მაგიდაზე ყოველთვის მხვდებოდა წიგნი წარწერით

ყოფილი კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი და პედაგოგი ნაირა ქორიძე ანსამბლ ''იმედის'' ლესელიძეში ყოფნის პერიოდს იხსენებს, თუ როგორ მიიწვიეს მათ საზაფხულო ბანაკში სტუმრად ჩამოსული კლასიკოსი მუსიკოსები. როცა ანსამბლს მოუსმინეს, ისინი დაინტერესდნენ, რამდენი ადამიანი ხელმძღვანელობდა მას. მერე კი იკითხეს, სად დაამთავრა კონსერვატორია. ''ყველას კონსერვატორიადამთავრებული ეგონა. თვითონ კი სიამაყით ამბობდა, რომ არ იყო უმაღლესი განათლებით. ისეთი ხიბლი ჰქონდა მის მეცადინეობებს, სწავლება ძალდატანებით არ ხდებოდა. არ არსებობდა საკითხი კომკავშირის რაიკომში, დაგვევალებინოს და არ შეესრულებინოს. ყოველთვის ბევრი სტუმარი გვყადა და თამაზი მუდამ ახერხებდა მათ მოხიბვლას თავისი პროფესიონალიზმით, ნაკითხობით, მუსიკის ცოდნით. საინტერესო იდეების გამო ხშირად ვიწვევდით ღონისძიებების დაგეგმვისას. ორივეს აპრილში გვქონდა დაბადების დღე. გავაღებდი კაბინეტის კარს და მაგიდაზე ყოველთვის მხვდებოდა წიგნი წარწერით.

როცა რომელიმე რესპუბლიკური ფესტივალი დაიგეგმებოდა, ვიდრე მე ვეტყოდი, მან უკვე იცოდა. ზემოდან იწყებდა ინფორმაციის მოპოვებას. იმდენად იყო მისი საქმით გატაცებული, ყველაფერს ადრიანად გებულობდა. ზოგჯერ ვბრაზდებოდი, თუ ამის შესახებ იცოდი, რატომ არ მითხარი-მეთქი. მაშინ სიურპრიზი არ იქნებოდაო, _ გაიცინებდა და ანსამბლის რეპერტუარის მოსასმენად მიმიწვევდა, პროგრამა უკვე მზად ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ, მოსკოვში ფესტივალზე საქართველოდან მხოლოდ სამტრედიელები ვიყავით მიწვეული, იქამდე, არც ''მზიური'' ყოფილა.

კომკავშირის რაიკომის კონფერენცია ტარდებოდა სამტრედიაში. მაშინ აქ კარგი ხარისხის სურათებს ვერ იღებდნენ და ამისთვის მოსკოვიდან ჩამოიყვანა მეგობარი. სურათები თვითონ ჩამოიტანა კონვერტით. აეროპორტიდან პირდაპირ ჩემთან მოვიდა სამსახურში და მითხრა, რომელიც გინდა, დაიტოვეო. მე ეს ჩემდამი პატივად მივიღე, მით უფრო, რომ ყველას არ შეხვდა ისინი''.

ქალბატონ ნაირასთან საუბარში გაირკვა, რომ ის თამაზ დუნდუას მოსწავლე ყოფილა მე-2 საშუალო სკოლაში. ''კამათს იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა სკოლაში ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი არსებულიყო, თამაზ დუნდუამ იმით უპასუხა, რომ ჩვენთან სკოლაში ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ''იმედი'' შეჰქმნა. ვაჟები უკრავდნენ, გოგონები ვმღეროდით. მუსიკალური განათლება არც ერთს ჰქონდა, ისე შეასწავლა ყველას ინსტრუმენტზე დაკვრა. თვითშემოქმედებითი კოლექტივების დათვალიერებაზე წარმატებით გამოვედით. შემდეგ მიიწვია ქალბატონმა მაყვალამ იგი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. იქ შექმნა ანსამბლი იგივე ''იმედის'' სახელწოდებით და თაობების ათვლაც იქედან იწყება. სინამდვილეში ასე დაერქვა ანსამბლს ''იმედი'' და არა მაშინდელი რაიკომის მდივნის, იმედაძის პატივსაცემად, მისადმი პირფერობად რომ უთვლიდნენ ზოგიერთები.

მასში, იცით, რა მომწონდა? ნაცნობობის გამო, თუ ნიჭი არ ჰქონდა ბავშვს, ანსამბლში არ მიიღებდა. ანა აბზიანიძე რომ ნახა პირველად, მე ჟიურიში ვიჯექი და მითხრა, ნახე, ეს ბავშვი ვარსკვლავი თუ არ გახდესო. დღეს მართლაც ვარსკვლავია ანა. მე მივუყვანე მას 24-ე საშუალო (მე-11 საჯარო) სკოლიდან ქეთევან დარსაველიძე. იშვიათი სმენა აქვსო, თქვა. დასარტყამ ინსტრუმენტთან დასვა. ახლა ქეთი წარმატებული მუსიკოსია. ბევრს ეტკინა გული თამაზის გარდაცვალებით.''

## ჩემი მეგობრები მისი მეგობრები გახდნენ

კომკავშირის სამტრედიის რაიკომის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე გიორგი ლეჟავა და თამაზ დუნდუა ერთმანეთს სამსახურებრივმა ურთიერთობამ დააკავშირა. ''ჩვენი ნაცნობობა ''იმედის'' ირგვლივ შედგა. _ გვითხრა ბატონმა გოგიმ. _ გვქონდა ძალიან კარგი, თბილი, მეგობრული დამოკიდებულება, იმდენად, რომ ჩემი დიდ ჯიხაიშელი მეგობრები მისი მეგობრები გახდნენ. არაერთხელ ვყოფილვართ ერთად ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასტროლებზე. მოსკოვში 2-ჯერ მეც ვახლდი. მაშინდელი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით თითქმის მთელი თვის განმავლობაში საგასტროლოდ ვიყავით კრასნოიარსკის მხარეში. ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკური მეთოდი ჰქონდა. გაბრაზებაშიც სითბოსა და სიყვარულს სდებდა, მამობრივ დამოკიდებულებას იჩენდა მათ მიმართ. თამაზში დიდ მუსიკალურ ნიჭს ვაფასებდი. მახსოვს, მოსკოვში ერთ ბავშვს ნოტები გაებნა, არადა, მის გარეშე ვერ დაუკრავდა. სასტუმროში არ აღმოჩნდა პიანინო. ვხედავდი, როგორ იჯდა თამაზი და ხელის კაკუნით როგორ წერდა ნოტებს.

ძალიან მეგობრული და თავდადებული კაცი გახლდათ. ცხოვრებაში ბევრი წინააღმდეგობა ჰქონდა, მაგრამ არ ეპუებოდა. ყოველი საკონცერტო გასვლა გარკვეულ ფინანსებთან იყო დაკავშირებული, საკუთარი ძალით, შეტევით მოიპოვებდა მას. იცოდა, მომავალი თაობის საქმეს აკეთებდა. რაიონის ხელმძღვანელი პირების პატივისცემითაც სარგებლობდა იგი.

ვცდილობდით, სუფრასთან ყოველთვის ჩვენს გვერდით ყოფილიყო. მაშინ იშვიათობა იყო ვიდეოკამერა. თამაზს კი ამაზე ხელი მიუწვდებოდა და ხშირად დაუფიქსირებია ჩვენი ოჯახური გარემო, ახლობელი ადამიანები.

თვითონაც მეოჯახე კაცი იყო. ხშირად მინახავს, ორი საბაზრო ჩანთით როგორ მიიჩქაროდა სახლში, ბავშვებს არაფერს აკლებდა. მიხარია, დღეს თამაზის საქმეს ანა აბზიანიძე რომ კარგად აგრძელებს. დასანანია ის, რომ მისი მრავალრიცხოვანი შვილებიდან მამის პროფესიას არც ერთი გაჰყვა.

მადლობა ყველას, ვისაც გაახსენდა და ვინც მოიგონებს ამ კარგ ადამიანს!''

## ''კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს''

ემოციების გარეშე თამაზ დუნდუაზე საუბარს დღესაც ვერ ახერხებს მუსიკოსი მარინა ახობაძე: ''ჩვენ ძალიან დიდი სულიერი მეგობრები ვიყავით, მუსიკის იქითაც მაძლევდა იგი რჩევას, მარიგებდა ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით. თამაზი რომ ამ ქვეყნიდან წავიდა, მეგონა, ყველაფერი დაინგრა. რომ დამირეკეს გარდაიცვალაო, წვიმიან ქუჩაში სულმოუთქმელად გავრბოდი. მერე დაკრძალვაზე აქეთ ნოდარ ზამთარაძეს რომ შევხედე, იქეთ სერგო კრავეიშვილს, იქეთ კიდევ სხვა ბიჭებს, როგორ განიცდიდნენ... ერთმანეთს ვამაგრებდით. ნოდარიც წავიდა... ძნელი გადასატანი იყო.

თამაზის მუსიკა ყოველთვის ნატურალური იყო. რასაც აკეთებდა, წვრილმანებში მისდევდა ყველაფერს. ნაწარმოებს რომ შეარჩევდა, ზუსტად გადმოიტანდა და მერე ამშვენიერებდა მას თავისი იმპროვიზაციით. იმპროვიზაცია არ ნიშნავს სიმღერის სქემის შეცვლის მცდელობას, რითმის ამოგდებას, განა არ შეეძლო, მაგრამ თამაზი ამას აკეთებდა ბუნებრივად. კომპოზიტორს არასდროს წაართმევდა უფლებას.

მასთან ურთიერთობის ფონზე, თუ შინაგანი მონაცემების მეშვეობით, მე ეს ყველაფერი დამეხმარა და გავითავისე. ახლა იმპროვიზაციას რომ ვაკეთებ, ვცდილობ, ზედმეტი არ მომივიდეს, ვფიქრობ, ის როგორ შემაფასებდა.

ჭეშმარიტი იუმორიც ჰქონდა თამაზს, რაც ასე ჭირს ახლა საქართველოში. ჩემთვის დღემდე დიდი დანაკლისია ამ ადამიანის გარდაცვალება. მეორე სამუსიკო სკოლაში ჩვენმა დირექტორმა ია ''პეტროვნამ'' მოიყვანა თამაზი. აქ მან გოგონათა კვარტეტი ''ია'' შეჰქმნა, მოსკოვში და სხვაგანაც დავდიოდით გასტროლებზე. უსასყიდლოდ გვამეცადინებდა. ძალიან ცნობილი პიროვნება იყო _ მოსკოვის სასტუმროში კულტურის მინისტრის მოადგილეები აკითხავდნენ, ურთიერთობების უნარი ჰქონდა. ძალიან დატვირთული იყო. ერთხელ ხუმრობით მითხრა, მეტი აღარ შემიძლია, მაგნიტოფონზე უნდა ჩავწერო ''გამარჯობა'', ''გამარჯობა'' და ისე უნდა ვიაროო, 2 წუთითაც რომ ვჩერდები, საქმე მიფუჭდებაო. მართლაც ასე იყო.

დიდ ღირსებად ვუთვლი იმას, რომ მეოჯახე კაცი იყო. განსაკუთრებულ პატივს სცემდა დედას და მისით ამაყობდა. ძალიან დააკლდა ქალაქს თამაზი და მას ვერავინ შეცვლის. ძალიან ტრაგიკული პიროვნება იყო. 2 შვილი მოუკვდა. მე პატივს ვცემ მის მეუღლეს, შვილებს, მამასავით ერთგული გოგონები არიან.

თამაზი რომ გარდაიცვალა, მიშა ქვლივიძის ლექსის სტრიქონები ვთქვი: ''რამდენი ჩვენგან წასული კაცის, ვერ გადავიხდით ამ ქვეყნად ამაგს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს''.

## 145 წლის სამტრედია

# "შენთვის ჭიგო და სამაგრი რკინის ლიანდაგებია"

***ასეა 1870 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბუმბერაზი ქართველი მოაზროვნის, საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის დიდი მონდომებითა და თაოსნობით ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზი ამოქმედდა. მტრედის ნათლულ ქალაქში სიცოცხლეს სხვა ხიბლი მიეცა, დაიწყო მანქანური წარმოება. სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების მშენებლობამ, კვალიფიციური მუშა ხელის აუცილებლობის საკითხი დააყენა. სამტრედია სარკინიგზო კვანძი გახდა.***

***რაიონში მცხოვრებთათვის უმთავრეს საზრუნავად ქალაქის საყოველთაო აღიარება იქცა. განათლების, კულტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, რკინიგზის, ხელოვნების, სპორტის მუშაკებმა ლომის წვლილი შეიტანეს მშობლიური სამტრედიის აღორძინებაში.***

***ვრცელია იმ თანაქალაქელთა სახელების ჩამონათვალი, რომლებმაც საქვეყნო საქმეთა კეთებაში საკუთარი სიტყვა თქვეს. მათ რიგებში ურყევ ადგილს იკავებენ დები, ლიდა და სულიკო გელანტიები.***

***გადავწყვიტეთ, სამტრედიის 145 წლის საიუბილეო დღეების მოახლოებასთან ერთად, კიდევ ერთხელ მოგვეგონებინა დამაშვრალი ინჟინრების ნათელი კვალი.***

1915 წელს დაიბადა ქალბატონი ლიდა ილარიონის ასული გელანტია. რთული იყო მისი ბავშვობა. 26 წლის გახლდათ, როცა ქვეყანა დიდ სამამულო ომში ჩაება და გაჭირვების უმძიმესი ჭაპანი მთელ ქართველობას დააწვა.

ლიდა გელანტია 1942 წელს, თბილისის სატრანსპორტო ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამტრედიაში ჩამოვიდა და მალევე, სპეციალობის მიხედვით, ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით იგი ამავე სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე გადაიყვანეს კადრების დარგში, სადაც ნათლად გამოჩნდა მისი პრინციპული ხასიათი, შრომისმოყვარეობა.



ლიდა გელანტია

ქალბატონი ლიდას წარმატებათა საფუძველს, უპირველესად, სამშობლოს, თავისი ხალხის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე დაკისრებული პასუხისმგებლობა წარმოადგენდა.

მიზანმიმართულობა, დღენიადაგ თავდადებული შრომა დასახული საკითხების განსახორციელებლად, სიახლისკენ გამუდმებული ლტოლვა – ეს თვისებები აყალიბებდა სახელმოხვეჭილი ქალბატონის ავტორიტეტს.

მის შესახებ ვკითხულობთ: "საოცრად თბილი, მოსიყვარულე ქალბატონი განსაკუთრებით ახალგაზრდა სპეციალისტებს ეხმარებოდა. მან ბევრი ადამიანი დაასაქმა და სწორ გზაზე დააყენა. იგი იმდენად დასაყრდენი, საიმედო კადრი გახლდათ, რომ კოლეგები ხუმრობით გელანტიას ნაცვლად "გარანტიათი" მოიხსენებდნენ."

ლიდა გელანტია 1963 წლიდან ხელმძღვანელობდა შრომის, ხელფასის და უსაფრთხოების ტექნიკის დარგს. საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, როგორც ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს თანაქალაქელთა საქმიანობას, ახარებდა მათი წარმატებები, რამეთუ სწამდა, რომ ისინი მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით იღვწოდნენ საქართველოსა და ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის.

თბილი ოჯახის დიასახლისი, მზრუნველობით, სიყვარულით ეკიდებოდა ყველა იმ საქმეს რაც დედის ამპლუაში ყოფნისას აუცილებლობას წარმოადგენდა. სრულიად ახალგაზრდა, 56 წლის ასაკში გარდაცვლილი წინაპრის ხსოვნას მის მიერვე დათესილი კეთილი საქმე, შთამომავალთა სანთელ-საკმეველი ინახავს. შვილები, ჰენრი და გიული ფრანგულაიშვილები სათუთად იგონებენ მშობლის დაუღალავ მარჯვენას და მომავალ თაობას მის სიყვარულს უნერგავენ.



სულიკო გელანტია

დები გელანტიები ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია სამტრედიელთა მახსოვრობაში. სრულიად განსხვავებული, გამორჩეული კოლორიტულობისა და თავაზიანობის მქონე სულიკო გელანტია, სარკინიგზო სფეროში დასაქმებულთათვის უნარიანი ხელმძღვანელის, ხოლო ნაცნობ-მეგობართა გულებში ურთიერთპატივისცემის სიმბოლოდ რჩება.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სამგზავრო სამსახურის ოპერატორად, ტექნიკური სექტორის ინჟინერ-ანალიზატორად, კომერციული აქტების სექტორის უფროსად, სატვირთო სამუშაოების დარგში სადგურ "სამტრედიას" უფროსის მოადგილედ, მოძრაობის განყოფილების ინჟინრად, სატვირთო-საანგარიშო კონტროლის უფროსად მუშაობისას სულიკო გელანტიამ დამსახურებულად დაიმკვიდრა ჯეროვანი ადგილი რაიონის მოწინავე ხელმძღვანელ-მუშაკებს შორის.

საკუთარი საქმის ზედმიწევნით მცოდნე კადრმა, 1954-58 წლებში საქალაქო, ხოლო 1960-64 წლებში რაიონული საბჭოს დეპუტატმა მისაბაძი მონდომებით მიაღწია სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის უჩვეულო სიმაღლეს და ქალთა შესაძლებლობების სიუხვეში ეჭვგარეშედ დაარწმუნა ყველა.

"მაშინ, როცა სულიკო გელანტია სატვირთო-საანგარიშო განყოფილების უფროსი გახლდათ, მე იქ უფროს ტელეგრაფისტად ვმუშაობდი. გარდა ამისა, მას მშობლის ამპლუაშიც ახლოს ვიცნობდი; ვინაიდან მისი ქალიშვილი მარინა ჩემი თანაკლასელი იყო, მქონდა ბედნიერება, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სარბიელზე მეხილა ქალბატონი სულიკო. დავიწყებ იმით, რომ ის ჩინებული დიასახლისი, მეუღლე, დედამთილ-მამამთილის პატივისმცემელი პიროვნება გახლდათ. ბატონი ეპიფანე და ქლბატონი ნადია მას არათუ რძალს, არამედ, როგორც შვილს ისე უყურებდნენ. ყოფილი მე-13 სკოლის გვერდით მდგარი სახლი ყველასთვის საყვარელ, მშობლიურ ადგილს წარმოადგენდა.

მაგონდება მეფური გარეგნობის, მედიდური მიხვრა-მოხვრის, ლიდერი ქალბატონი სულიკო, რომელსაც ნამდვილად არ აკლდა ქალური ხიბლი. მისი შინაგანი სითბო, სინათლე, შინაარსიანი საუბარი უმალვე ცხადჰყოფდა მისსავე ერუდიციას, განათლებას. უყვარდა წესრიგი, შესვენებისას ორგანიზებას უწევდა მუშა-მოსამსახურეთა ფიზიკურ ვარჯიშს. აფასებდა ნიჭიერ ადამიანებს, ჰქონდა იუმორის დიდი გრძნობა და საკვანძო საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის უნარი.

ვერ ვივიწყებ იმ წლებს, რაც მასთან გავატარე, წლებს, რომელიც ჩემს ერთ-ერთ ლექსში შემდეგნაირად აღვწერე: "არის ფიქრები წყაროსადარი, დასავიწყებლად არ გემეტება!" – გვესაუბრება ყველასთვის კარგად ნაცნობი პოეტი, ჩვენი თანაქალაქელი ქალბატონი მაყვალა ჩირგაძე.

სულიკო გელანტია ქალობის ყველაზე მაღალ საზომად ოჯახს მიიჩნევდა. სტუდენტობისას გაცნობილ, ცხოვრების სიყვარულსა და თანამგზავრთან, ბატონ ნიკოლოზ ცხვარაძესთან ერთად გატარებული მეუღლეობის ხანა შვილებად, შვილიშვილებად შემორჩა მათ სახელებს.

მარინა, რაულ და დავით ცხვარაძეები რუდუნებით საუბრობენ მშობლების ამაგზე, ეამაყებათ ისინი.

და მაინც, ამოუწურავია სათქმელი, სიტყვათა მარაგი ღარიბია დამსახურებული ინჟინერი დების სახელთა შესამკობად...

წლეულს, 100 წელი სრულდება ქალბატონი ლიდას, ხოლო 90 – ქალბატონი სულიკოს დაბადებიდან.

*შოთა კაკავა*

# ქვალნათელი

ლევან გაბეჩავა

***არაერთხელ დაწერილა მასზე, მის კარგ კაცობაზე, კარგ ქართველობაზე, მაგრამ უმადურობა იქნებოდა, ამჯერად, როცა სამტრედიელები საიუბილეოდ ემზადებიან, არაფერი გვეთქვა, არ გაგვეხსენებია ბატონი ვალერიანე კოპალეიშვილი, ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორი, ადამიანი, რომელმაც ადგილობრივი მრეწველების მცირე საწარმოს ბაზაზე, ყოფილ საბჭოეთში ცნობილი და აღიარებული მძლავრი კომბინატი ჩამოაყალიბა.***

საწარმოო სიმძლავრეების ეტაპობრივი ზრდა, ახალი, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა, უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესის ახალი სისტემა, წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, კომბინატში დასაქმებული ასობით ადამიანის სოციალურ-ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ღვაწლმოსილთა ჯეროვანი დაფასება, ახალგაზრდა სპეციალისტთა დაოსტატება, კავშირები მსგავსი პროფილის აღიარებულ გიგანტ საწარმოებთან, გამოცდილებების გაზიარება ახალბედა კადრებისათვის, მშობლიური ქალაქისა და რაიონის იერსახეზე ზრუნვა ნაწილია იმ კეთილი საქმეებისა, რაიონის გიგანტი საწარმოს სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული დირექტორი რომ აღასრულებდა.

ბატონი ვალერიანე კოპალეიშვილის ღირსებაზე მეტყველებს ერთი გარემოებაც. მისი სიცოცხლისას, შემდეგ პერიოდშიც ხის დამმუშავებელ კომბინატს "ვალიკოს წარმოებად" იხსენებდნენ. "ვალიკოსთან მუშაობს" "ვალიკოს თანამშრომელია"... ხშირად გაიგონებდით ასეთ გამოთქმას... არავინ კითხულობდა, ყველამ იცოდა, საუბარი ბატონ ვალიკო კოპალეიშვილსა და ხის დამმუშავებელ კომბინატს რომ შეეხებოდა.

ქალაქში ვრცელ ტერიტორიაზე დეკორატიული ღობეების მოწყობას, კომბინატში დასაქმებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის, მუშა-მოსამსახურეთათვის მრავალსართულიანი კორ-



პუსების მშენებლობას, კომბინატის მიმდებარე ტერიტორიის, ეზოს კეთილმოწყობას, საწარმოს კულტურის სახლის მშენებლობას ბატონმა ვალერიანე კოპალეიშვილმა დიდი ენერგია და ძალისხმევა მოახმარა.

ვეებერთელა საბჭოეთში 63-ე რაიონი იყო სამტრედია, სადაც ეკოლოგიურად სუფთა, მგზავრთათვის იაფი, მოსახერხებელი ტრანსპორტი – ტროლეიბუსი მუშაობდა, რაშიც ლომის წილი სწორედ ბატონ ვალერიანეს მიუძღვოდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სამტრედიას ხშირად სტუმრობდნენ ქვეყნის ღირსეული ადამიანები, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის ქურუმები, მათთან ყოველი შეხვედრა ხომ უდიდესი ზეიმი იყო ყოველი სამტრედიელისთვის. ისე არავინ წავიდოდა სამტრედიიდან, ხის დამმუშავებელი კომბინატი არ მოენახულებია, არ გასაუბრებოდნენ საწარმოში დასაქმებულ მკლავმოუღლელ ადამიანებს, ძალზე ხშირად საპატიო სტუმართა მასპინძლის როლშიც უხილავთ ბატონი ვალიკო თანაქალაქელებს.

რაიონული, ქართული და საბჭოური გამოცემები ხშირად, ყოვლის მომცველად აშუქებდნენ პირველობისათვის გაჩენილი ხელმძღვანელის მოღვაწეობის ამსახველ ფაქტებს. კიდევ უფრო პოპულარული გახდა სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატი მას შემდეგ რაც ბატონი ვალიკოს დიდი მცდელობით კომბინატში ფინური და პოლონური ხაზი დამონტაჟდა, რომლითაც, გარდა იმისა, რომ გაიზარდა სიმძლავრეები, მეტი ადამიანი დასაქმდა და რაც მთავარია, კეთილმყოფელი გავლენა იქონია წარმოებული პროდუქციის ხარისხზეც.

ნაადრევად შეწყდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, ღირსეული მამულიშვილის გულისძგერა. ალალი ცრემლით დაიტირეს სამტრედიელებმა რაონის, ქალაქის მოჭირნახულე კაცი.

ვალერიანე კოპალეიშვილი, შალვა გოგავა, თამარ თავაძე, შალვა ტყებუჩავა, როლანდ მეიშვილი, ზინაიდა ნაცვლიშვილი, ჯულიეტა გოგავა, პოლიკო მიქაძე, ტატიანა გეგუჩაძე, ქეთევან სტურუა, დავით გახოკიძე... ეს ის ადამიანები, ხელმძღვანელები იყვნენ წარუშლელი კვალი რომ დატოვეს 145 წლის სამტრედიის ისტორიაში.

## თარიღი

# პოეტის უკვდავება



დიდი პატივია პოეტისათვის, მისი სიტყვები ხალხმა სასიმღეროდ რომ გაიხადოს. ჯავარიანი ქართული სიტყვის უპრეტენზიო მსახურს, პოეტ გრიგოლ ჯულუხიძეს ეს პატივი წილად სიცოცხლეშივე ერგო.

1940 წელს დაიბადა იგი. ყოფილი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას გამომცემლობა "საბჭოთა მწერლობაში", ახლანდელ "მერანში" იწყებს გამომშვებად. სხვადასხვა წლებში ბატონი გრიგოლი გახლდათ გამომცემლობის ტექნიკური დირექტორი, რედაქტორი, ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგე და ა. შ.

პირველი კრებული "აპრილის ქარი" ახალგაზრდობაში გამოაქვეყნა. სულ კი პოეტი 40-მდე კრებულის ავტორი იყო, მათ შორის აღსანიშნავია: "სიკეთე", "გალავანი შუა ქალაქში", "ეს დღეც გათენდა", "ვერ აგისრულე რასაც დაგპირდი" და სხვები. პოეტის ნიჭის მრავალმხრივობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. თარგმნილი აქვს პოლონელი მწერლების ლეოპოლდ ლევინისა და იგორ სიკირცკის, ქურთი პოეტების, აზიზე ოსკოსა და ტოგარე ქროევის წიგნები.

საოცარი სისადავით, ჰაეროვნებითა და ჰუმანიზმითაა გამთბარი პოეტის შემოქმედება. არა ერთი ლექსი უძღვნა მან მშობლიურ სამტრედიას. "ყველა სახლზე სამტრედეა, სიხარულის მჩენი, სამტრედია, სამტრედია, სამტრედია ჩემი..." წერდა იგი და ეთაყვანებოდა მშობლიური რაიონის მცხოვრებთ, სახელოვანი ფურცელი რომ ჩაწერეს მტრედად ნათლული ქალაქის ისტორიაში. როგორც აღვნიშნეთ, მისი ლექსები დიდი ხანია სასიმღეროდ გაიხადა ხალხმა.

პოეტს არც მისი არსებობით შეუწუხებია ვინმე და საწუთროც მშვიდად უპრეტენზიოდ დატოვა.

ორიოდე წელია ჩვენს შორის აღარაა ქართული სიტყვის ერთგული მსახური, ღირსების ორდენის კავალერი, აკაკი წერეთლის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, სახელოვანი თანამემამულე, რომლის ნათელ ხსოვნას არასოდეს მიეკარება დავიწყების ბინდი.

მიმდინარე წელს 75 წლისა გახდებოდა პოეტი.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული!

*ლევან გაბეჩავა*



# 13 აპრილი მიცვალებულთა ხსენების დღეა!

## არავინაა დავიწყებული!

დიდი ხნის მანძილზე სამტრედია სამრეწველო სატრანსპორტო კვანძი იყო საქართველოში. შენდებოდა ახალი საწარმოები, პროფესიონალი კადრების დაუღალავი შრომის შედეგად ძლიერდებოდა ჩვენი ქალაქი და ფართო ასპარეზზე წარმოაჩენდა რაიონის მიღწევებს!

ფაბრიკა-ქარხნები, სამრეწველო საწარმოები, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოები, სალიანდაგო დისტანცია და სხვა მრავალი სტრუქტურა ჩართული იყო აქტიური მუშაობის ფერხულში. დამერწმუნებით, რთული, წარმოუდგენელიც კი იქნებოდა ყოველივე ზემოაღნიშნული, მშენებელ-ინჟინერთა იმ თაობის გარეშე, რომელმაც ქალაქის იერსახის დახვეწის საქმეში ლომის წილი შეიტანა.

ხშირად, როცა წარსულის ნათელ მოგონებებზე ვფიქრობ, მეხსიერებაში ამოტივტივდება მათი სახელები. ამ წერილის სათაური სულაც არ არის შემთხვევითი. საჭიროა, მომავალმა თაობამ იცოდეს სახელები ისეთი დიდი სამტრედიელებისა, როგორებიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში დააბიჯებდნენ ჩვენს ქალაქში. ვინაიდან, მთელი შეგნებული ცხოვრება სამშენებლო დარგს მივუძღვენი, გადავწყვიტე, მიცვალებულთა ხსენების დღესთან დაკავშირებით, სწორედ ამ პროფესიის ადამიანები მოვიგონო.

საამაყო ფაქტია და ჩვენ შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, რომ სამტრედიის 145 წლიან ისტორიაში გვყავდა ლეგენდარული მშენებელი, შრომის გმირი ბატონი დავით ბაღდავაძე. მის ირგვლივ აღიზარდა ასობით კარგი სპეციალისტი, პროფესიონალი ინჟინერი.

უპატიებელი დანაშაულია წარსულის დავიწყება, წარსულისა, რომელშიც არაერთი სახელია ჩაბეჭდილი. ამის დასტურია მშენებელ-ინჟინერთა, ამ ურთულეს საქმეში დაკავებულთა მთელი პლეადა: ამირან დახუნდარიძე, ლევან ყიფიანი, ალექსანდრე ალფაიძე, ლაზარე გელაზონია, შოთა ჯოგლიძე, დემურ დვალიშვილი, გრიშა მინაშვილი, შალვა გიგინეიშვილი, ვაჟა ახალაძე, გურამ თავაძე, ნოდარ გიგინეიშვილი, შოთა მალაღურაძე, ოთარ ლეჟავა, ანზორ ბოხუა, გენო კოპალეიშვილი, სულიკო გეგეჭკორი, ანაპოლისტე თავაძე, გივი ნოდია, დავით ახობაძე, გივი წულეისკირი, შალვა შუბლაძე, ნოდარ ბახტაძე, დავით ელიავა, კოტე ჯოგლიძე, კარლო კაჭარავა, დავით ჭკადუა, ამირიდო ადეიშვილი, რამაზ კერელეიშვილი, ვალოდია პაპავა, სევერიანე მუქერია, დავით ლევიძე, ალიოშა კაჭარავა, გოგი ხოშტარია, გოგი ვაშაკიძე, მიტუშა კიკაჩეიშვილი, გივი გვალია, ნოდარ გიგინეიშვილი, ლევან შავლაყაძე, ვოვა ზინჩენკო, ზურაბ მხეიძე, ვასილ ლეჟავა, სოსო მინაშვილი, ვალოდია ჩოგოვაძე, ჯუმბერ ნიკურაძე, თედო თევზაძე, ომარ უგრეხელიძე, ალექსანდრე (საშა) ჩიქოვანი, ბუხუტი საღრიშვილი, ჟორა მანჯგალაძე და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გამოცდილი, კვალიფიციური კადრების გაკაფულ გზაზე აღიზარდა ახალი, არანაკლებ ნიჭიერი თაობა: ნუგზარ პატარაია, ვლადიმერ გაბუნია, რეზო კაკაბაძე, ნუგზარ კიკალეიშვილი, ჯონი ჭანჭალეიშვილი, დემურ გელაზონია...

მამაკაც მშენებლებს მხარს უმშვენებდნენ, თავაზიანი, საქმის ჩინებულად მცოდნე ქალბატონები: ელისო გოგია, ლამარა შენგელია, ინეზა ხომერიკი, შურა ღლანიძე, რაისა კვიტატიანი, თამარ ბაღდავაძე...

მიმძიმს მათზე წარსულში საუბარი. ჩამოთვლილთაგან ბევრი იმ ასაკში წავიდა ამქვეყნიური საწუთროდან, როცა ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. ვიმედოვნებ, ამ მოკრძალებული წერილით მცირედი მაინც შევძელი გამეკეთებინა იმისა, რასაც გარდაცვლილთა მოგონება ჰქვია.

ნათელში იყვნენ!

**ჟორა რევიშვილი**

---

**ნათია ნაცვლიშვილი**

## „ცხოვრება ექიმი კაცისა“

“უვერცხლო მკურნალი” ასე უწოდა ღვაწლმოსილ სამტრედიელს, საქვეყნოდ ცნობილ, ღირსეულ ექიმს, გენო გეგეშიძეს ქალბატონმა ნინო ტონიამ. ამ ეპითეტით მართლაც ზუსტად გამოიხატება მრავალმხრივ ნიჭიერი, ერუდირებული პიროვნების, შესანიშნავი ექიმის ცხოვრებისეული ღვაწლი. გენო გეგეშიძემ სამტრედიელებს არა მარტო კარგი ექიმობით დაამახსოვრა თავი, კარგად გვახსოვს, რა საინტერესო და შინაარსიანი წერილებით ეხმაურებოდა ბატონი გენო საზოგადოებრივად აქტუალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ მოვლენებს.

სულ ახლახან გამოიცა წიგნი, “ცხოვრება ექიმი კაცისა”, სადაც თავმოყრილია ექიმის მიერ თავის დროზე სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში დაბეჭდილი პუბლიკაციები როგორც სამედიცინო თემებზე, ისე აქტუალურ საკითხებზე.

წიგნის რედაქტორი ჩვენი კოლეგა, “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავაა.

რედაქტორი გენო გეგეშიძის ბიოგრაფიულ დეტალებს საინტერესოდ აცნობს მკითხველს:

“დაიბადა სამტრედიაში 1932 წელს. ოქროს მედალზე დაამთავრა სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. იყო რა აბსოლუტური ფრიადოსანი და აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში, მიენიჭა სტალინის სახელობის სტიპენდია. მრავალი შემოთავაზების მიუხედავად, დარჩენილიყო დედაქალაქის პრესტიჟულ საავადმყოფოებში, მშობლიურ რაიონს მოაშურა და სიცოცხლის ბოლომდე გუშაგად ედგა სამტრედიელთა ჯანმრთელობის დაცვას. ვინ იცის, რამდენი ღამე თეთრად გაუთენებია პაციენტის საწოლთან, რამდენჯერ უზეიმია სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებით გამოწვეული სიხარული.



ქალაქის პოლიკლინიკა, რაიონული საავადმყოფო, რკინიგზელთა საავადმყოფო, ბალნეოლოგიური კურორტი “სამტრედია” _ ის სამედიცინო დაწესებულებებია, სადაც ის მოღვაწეობდა. რამდენჯერმე გაიარა კვალიფიკაცია მოსკოვის კარდიოლოგიის ინსტიტუტში, აქვე მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის ექიმის წოდება, ხოლო 1984 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. 1973 წელს არჩეულ იქნა და სიცოცხლის ბოლომდე იყო “საქართველოს სამედიცინო მოამბის” სარედაქციო საბჭოს წევრი. აქტუალურ მონაწილეობდა თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, რომლებიც მედიცინის აქტუალურ საკითხებს ეძღვნებოდა. ბატონი გენო გახლავთ ავტორი არაერთი სამედიცინო წიგნისა, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოში, სამტრედიაში არ მომხდარა, მნიშვნელოვანი მოვლენა, ბატონ გენოს მისეული არგუმენტირებული, რეალურ, მყარ შედეგებზე გათვლილი აზრი არ გამოეთქვას მტკიცებულებითურთ”.




წიგნი შემდეგ ქვეთავებად არის დაყოფილი: გენო გეგეშიძის წერილები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, სამედიცინო წიგნების რეცენზია, წერილები სამტრედიის ცნობილ ადამიანებზე, ბატონ გენოს საქმიანი ურთიერთობა, ბოლო თავში კი მკითხველს შეუძლია გაეცნოს რაიონის ხელმძღვანელობის, კოლეგებისა და მეგობრების მიერ გენო გეგეშიძის პიროვნების დახასიათებას და მისადმი გამოსათხოვარ წერილებს.

წიგნში ასევე დაბეჭდილია სხვადასხვა დროს გენო გეგეშიძის მიერ შედგენილი კროსვორდები და მეგობრული შარჟები. იმის დასტურად და საილუსტრაციოდ, რომ გენო გეგეშიძეს, თავად ღირსეულს არ უძნელდებოდა სხვათა ღირსებების წარმოჩენა, წიგნში შესული მის მიერ გამოქვეყნებული წერილები გამოდგება როგორც გარდაცვლილ, ისე მის თანამედროვე ექიმებზე. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ქირურგ მალხაზ მირცხულავას ეძღვნება, ბატონი გენო ამბობს: “ჩვენს რაიონში მას ბევრი მადლიერი პაციენტი და დამფასებელი ჰყავს. ერთი ყოფითი შტრიხიც. 38 წელიწადია, რაც ჩემს მშობლიურ სამტრედიაში ექიმად ვითვლები და როდესაც მალხაზთან ერთად ქალაქში ვსეირნობთ, მას მეტი ნაცნობი ესალმება და კეთილი ღიმილით აჯილდოვებს”. _ ესეც გენო გეგეშიძის თავმდაბლობის საუკეთესო მაგალითი!

ამ პატარა წერილს შესანიშნავი პოეტის, ზოია ვაშაკიძის ლექსით დავამთავრებთ, რომელიც პოეტმა ღირსეულ ექიმს მიუძღვნა და რომელიც წიგნშია შესული:

“სხვათა ატკივებულ გულთა კვნესა
შიგ გულამდე გატანს,
შვენის კოლორიტი შენი
ფიქრებდამძიმებულ ქალაქს”.

წიგნის გამოცემის ხარჯები გაიღო ოჯახმა, ამ საქმეში წვლილი შეიტანეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საზოგადოება “სამტრედიელმა”.

---

## ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა!

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დროს როდი შეუძლია წაშალოს ის, რაც ასე შთამბეჭდავად დარჩენილა მეხსიერებაში. გავიხსენოთ ისინი, ვინც საქვეყნო საქმეს ერთგულად ემსახურა და წარუშლელი კვალი დატოვა. მათ არასდროს დაჰკლებიათ სიყვარული, პატივისცემა და აღიარება, მაგრამ დღეს, როდესაც ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან უფრო მკვეთრად წარმოჩნდა ის საუკეთესო თვისებები, რომლებიც ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებაში ახასიათებდათ.

მხნედ დააბიჯებდა მშობლიურ ქალაქში, კეთილი, გაცისკროვნებული ღიმილით რკინიგზის ტრანსპორტს შესისხლხორცებული ადამიანი, რომლის სახელი სამუდამოდ შემორჩა რკინიგზის ისტორიას _ ინეზა ვარლამის ასული ხომერიკი-კანდელაკი _ მეუღლე, დედა, ბებია. ერთგული მეგობარი, ღვთისმოსავი, ყველას გულშემატკივარი ლამაზი ქალბატონი. სწავლობდა №2 საშუალო სკოლაში, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი მისი შემდგომი საქმიანობა რკინიგზის სამტრედიის განყოფილებას უკავშირდება. სხვადასხვა წლებში იყო რკინიგზის საამშენებლო უბანში შრომისა და ხელფასის განყოფილებაში უფროსი ინჟინერი. 1974 წლიდან არჩეული იქნა რკინიგზის სამტრედიის განყოფილების პროფრაიკომის პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო 1992 წლიდან დაინიშნა რკინიგზის მუშათა მომარაგების საწარმოო გაერთიანების განყოფილების უფროსად. ინეზა ხომერიკი მუშაობის პერიოდში მთელი მონდომებით, ენერგიით და თავდადებით იცავდა რკინიგზელთა შრომით, პროფესიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. სამაგალითო იყო თანამშრომლებთან, მეგობრებთან ურთიერთობებში, იყო გულისხმიერი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რკინიგზელთა შორის. ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, კვალიფიციური ცოდნით და კარგი ავტორიტეტული უნარით. მის სასახელო შრომაზე მეტყველებს საპატიო რკინიგზელის წოდება უამრავი მადლობები, პრემიები და მედლები.

ახლახან წავიდნენ ამ ქვეყნიდან ავთანდილ და ბაჩუკი ტორონჯაძეები, გიორგი კიკალეიშვილი, ედუარდ ჯანგველაძე, თამაზ გუმბერიძე, გურამ ზამთარაძე. მათთან ერთად არ შეიძლება, არ მოვიგონოთ უპრეტენზიო, მრავალი პიროვნული ღირსებით შემკული და დაფასებული რკინიგზელები: მიხეილ კოპალეიშვილი, აკაკი წილოსანი, მელიტონ არველაძე, ვლადიმერ რევიშვილი, ვახტანგ ულრელიძე, ზურაბ ტუგვაძე, ბონდო ვაშაკიძე, ზაურ ხაჟომია, მიხეილ ბოჭორიძე, ამროსი კილასონია, ნიკოლოზ ცხვარაძე, ნიკოლოზ მუქერია, ვალერიან ჩომახაშვილი, სონია კოტრიკაძე, როსტომ თოდუა, გიორგი რამიშვილი და მრავალი სხვა.

**რევაზ შამათავა**



# 13 აპრილი მიცვალებულთა ხსენების დღეა!

## განუმეორებელი ვენეციელი მავრი



*"_ როგორ ბრძანდებით, ბატონო აკაკი?*
*_ როგორ ვიქნები, მივჩერებივარ ტელეფონს, ეგებ ვინმემ დამირეკოს..."*

ასე იხსენებს მსახიობ აკაკი ხორავასთან უკანასკნელ შეხვედრას თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე და ნათელს ჰფენს იმ მტკივნეულ პერიოდს, რაც სიცოცხლის ბოლოს, წელთა დაღმართს დაშვებულ მსახიობს ხვდა წილად.

ბავშვობაში ეზიარა იგი სცენის სიყვარულს, სრულიად შემთხვევით მოხვდა ქუთაისში, რუსული თვითმოქმედი დასის მიერ დადგმულ სპექტაკლზე "ძია ვანო" და მას შემდეგ აქტიორის პროფესიაზე ოცნებას თავი ვერ დაანება.

სასცენო ხელოვნების დაუფლებას მოწყურებულმა 1922 წელს მიაშურა აკ.ფაღავას თეატრალურ სტუდიას და პროფესიონალი მსახიობის მონაცემებით ჩაირიცხა რუსთაველის სახელობის თეატრში. მან პირველსავე დადგმებში გამოამჟღავნა არნახული შესაძლებლობების მრავალფეროვანი პალიტრა, რითაც შემდგომ წლებში განსახიერებული როლებით, სამუდამოდ დაიმკვიდრა განუმეორებელი ვენეციელი მავრისა და ოიდიპოს მეფის სახელი.

როგორც გამოჩენილი შექსპიროლოგები დასძენენ, ხორავასეული ოტელო სამსახიობო შესრულების მწვერვალს წარმოადგენდა. იგი თავისი დიამეტრალურად განსხვავებული პლასტიკითა და დახვეწილობით ჩრდილავდა ამ როლის სახელგანთქმულ შემსრულებელ ოლივიესაც.

აკაკი ხორავა ცდილობდა, მდიდარი არტისტული შესაძლებლობის შესაფერისად გაეშალა საკუთარი შემოქმედებითი ჰორიზონტი. ის გამუდმებით ეძებდა სრულიად ახლებურ მხატვრულ საშუალებას და ამით ერთიორად ამრავალფეროვნებდა სათეატრო თვალთახედვას.

მსახიობის რუსთაველის თეატრში მისვლა დაემთხვა ორი ტიტანის, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მოღვაწეობის პერიოდს. მათ დიდი გავლენა მოახდინეს ხორავას აქტიორულ მიმართულებაზე, რისი კვალიც მუდამ თან სდევდა მის შემოქმედებას.

რაც შეეხება ახმეტელისა და ხორავას ურთიერთობას, იგი 1923 წლიდან იღებს სათავეს. რეჟისორ-მსახიობის სამაგალითო ტანდემი 12 წლის მანძილზე გაგრძელდა. სანდრო აკაკის მეჯვარე გახლდათ და ისინი თეატრს მიღმაც ახლო ოჯახურ კავშირს ინარჩუნებდნენ.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ მათ შორის მდგომარეობა 1935 წელს ბაქოში, სპექტაკლ "ლამარას" ჩვენებისას დაიძაბა. თავის დროზე ზემოხსენებული სპექტაკლი, ახმეტელისა და მარჯანიშვილისთვისაც იქცა განხეთქილების საგნად, მოვლენები კვლავ განმეორდა...

საგასტროლოდ მყოფი დასი საღამოს წარმოდგენისთვის ემზადებოდა, როცა ხორავა თეატრში შეზარხოშებული დაბრუნდა. მსახიობმა დაისვენა, ძალები მოიკრიბა და სცენაზე მაყურებელთათვის შეუმჩნეველი ხარვეზებით ითამაშა. ალკოჰოლის სუნი პარტნიორებმა მაინც იგრძნეს, რომელთა შორის სანდროს მეუღლე, თამარ წულუკიძეც იყო. ეს ამბავი ახმეტელის ყურამდე მივიდა. დისციპლინის მოყვარულმა რეჟისორმა აკაკის დაუდევრობა არ აპატია და თეატრიდან დაითხოვა.

თბილისში ჩამოსულ სამხატვრო ხელმძღვანელს, თეატრში ხორავას დაბრუნების წინადადებით ლავრენტი ბერია შეეხმიანა. ახმეტელმა იუარა და მალევე მასთან იგივე თხოვნით მისული აკაკი ვასაძეც გაათავისუფლა. დადგა ულტიმატუმი: ხორავა-ვასაძის აღდგენა ან ახმეტელის წასვლა. სანდრო თეატრიდან გაუშვეს. მოსკოვში გადასული რეჟისორი ბერიას არ დავიწყებია და 1937 წელს...

ხორავას მთელი ცხოვრება სტანჯავდა სინდისის ქენჯნა. თეატრში შემხსენებლებიც მრავლად იყვნენ და აკაკის წარსულის დავიწყების საშუალებას არ აძლევდნენ. მომავლის გეგმებში კი _ თეატრალური ინსტიტუტის შექმნის, ანუ აღდგენის იდეა ისხამდა ფრთებს, რაც 1939 წელს დაგვირგვინდა კიდეც.

სასწავლებლის სათავეში მდგომი აკაკი მთელი მონდომებით იზიდავდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, ეხმარებოდა მათ, ელოლიავებოდა როგორც მშობელი. მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც ქართულმა ფენომენმა იჩინა თავი. "ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო" და ხორავა მოძველებული იდეების გამო გაათავისუფლეს თეატრიდან.

1966 წელს ბუმბერაზი მსახიობი კვლავ დადგა სცენაზე, გიგა ლორთქიფანიძემ და იური კაკულიამ იგი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა "ღალატის" მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ოთარ ბეგის როლზე მიიწვიეს. ხორავამ მხოლოდ პრემიერაზე შეძლო თამაში და ამ სიმბოლური სახელწოდების სპექტაკლით დაემშვიდობა საყვარელ მაყურებელს.

1972 წელს, აკაკი ხორავა გარდაიცვალა. მძიმედ დასნეულებული მსახიობის ცხედარი მადლიერმა ერმა პატივითა და დიდებით მიაცილა მთაწმინდის სავანემდე.

ამ დღეებში 120 წელი სრულდება დიდი თეატრალური ეპოქის ერთ-ერთი შემოქმედის, აკაკი ალექსის ძე ხორავას დაბადებიდან.

**შოთა კაკავა**

## ავთანდილ პარმენის ძე ტორონჯაძე



გარდაიცვალა რკინიგზის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ბატონი ავთანდილ პარმენის ძე ტორონჯაძე. დაიბადა 1926 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მთელი ცხოვრება რკინიგზის დარგის განვითარებას მოახმარა. წლების მანძილზე ეკავა პასუხსაგები თანამდებობები. დიდხანს იყო დარგობრივი პროფრაიკომის თავმჯდომარე და მთელი ენერგიით იღვწოდა რკინიგზელთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის.

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ავთანდილ ტორონჯაძეს მინიჭებული ჰქონდა საპატიო რკინიგზელის, რკინიგზის პროფესიული კავშირის ლაურეატის და რკინიგზის წარჩინებული მუშაკის საპატიო წოდებები, დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ღვაწლმოსილი რკინიგზელის, სასიქადულო მამულიშვილის ავთანდილ ტორონჯაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება რკინიგზელთა, თანაქალაქელთა მეხსიერებაში.

**მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**მუნიციპალიტეტის გამგეობა**

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა, ბატონი

**ავთანდილ პარმენის ძე ტორონჯაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ავთანდილ ტორონჯაძე**

და თანაუგრძნობს ოჯახს.

## მამულო!

*ამერსა და იმერს გამოარჩევ განა?*
*მთაშია თუ ბარში სამოთხეებს ჰგვანან.*
**შ. ნიშნიანიძე**

**მე რომ სიკვდილი მჭირს,**
**ეს შენგან, ჩემო ედემო!**
**მ. ლებანიძე**

ვინ სამოთხე შეგარქვას
ვინ _ ედემი, ბაღნარი,
ცრემლს ღვრის ანას ჩონგური:
"შენი მსგავსი სად არის?"
ვუსმენ იმათ გალობას
და დარდს ვერ მალავს გული,
ვინ თქვას შენი ხოტბანი
მათზე აღმატებული?
მოსდევ საუკუნეებს
ერის უკვდავი სულით
ღვთისმშობლის წილხვედრი
ბუნების სასწაული.
ნაბიჯ-ნაბიჯ მხრებსა შლის
ერის ნაოცნებარი,
ჩანხარ ევროპელების
დიდ ოჯახში ჩამდგარი.
ძმობის ხიდით ვმეგობრობთ
შეერთებულ შტატებთან
და მშვიდობისმოყვარე
სხვა ქვეყნების ხალხებთან.
ნატოს შენაერთებში
სამხედრო მომზადებით
ქებას იმსახურებენ
ქართველი ვაჟკაცები.
რეკენ ცისკრის ზარები
იმედები არ ცხრება,
ღვთის მადლით საქართველო
მალე გაგვიბრწყინდება.
დღეღამ სანთლად მინთია
უსაშველოდ გრძელ გზაზე
შენი ცისა და მიწის
ზღაპრული სილამაზე.
ბედი მალე იმ ქვეყნის
საგზურს ამაღებინებს,
ფიქრი მტანჯავს: უშენოდ
მე რა გამაძლებინებს!

**კორნელი ჩიხლაძე**

### ქართული

ეს სული მჩქეფარე სიმღერით გართული,
სულს უყვარს ოცნება, ოცნება ქართული,
სიტყვა ობოლი და გულთამხილველი,
ეს არის სურვილი, სურვილი პირველი.
სიტყვა გრძნობაში გადაკარგული
მჯეროდა უყვარდა მაღალ ღმერთს _ ქართული.

### ქართული სიტყვა

სიტყვები ჩემი, ჩემი მალამო,
ზოგჯერ ფარია, ზოგჯერ მახვილი,
სალამი ლურჯო, ჩუმო საღამო,
სიტყვები ჩემში ჩნდებიან წყვილი.
ვინც იცის, სიტყვა ვის როგორ ესმის,
რას მოასწავებს ვისთვის ძახილი,
რა გრძნობას ბადებს ვის გულში ლექსი:
"ჰეი, ქართველო შეიბნ მახვილი!"
მიწის სევდას და მიწის სიყვარულს,
ვინ როგორ ამბობს სათქმელს გულისა.
როგორ გაგიმხელს სურვილს დაფარულს,
უკანასკნელი სიყვარულისა.
სიტყვას ლახტივით მოქნევა უნდა,
ამას ადვილად ხვდება ქართველი,
ქართული ენა ღმერთებს რომ სურდა,
ჩვენი სუნთქვა და ჩვენი სახელი.

### პაოლოს, ტიციანს და სხვა ცისფერი ორდენის საძმოს

სახეში ცივად უმიზნერდათ ტყვია,
და ლექსი ქუხდა მათ მედგარ ხმაში.
დაე, იცოდნენ, პოეტნი გქვიათ,
არ გსურდათ ზოგთა ორპირი ტაში.
მათ ხალხის მიზნებს აუბეს მხარი,
უყვარდათ ქრისტე, უყვარდათ შელი.
თავისუფლების დაჰქროდა ქარი
და მათ მოსდგამდათ დიდება ძველი.
ციცაბო იყო გზა და ბილიკი,
ერთი იღბალი ერგოთ მათ ძმათა,
არ აშინებდათ მტერთა ქილიკი,
ქვეყნად არავის ვალი ემართათ.
და დრო თუ იყო ნაჭედი რკინის,
ცივი ფოლადის თუ იყო დრონი,
დუელში მოჰკლეს როგორც პუშკინი
და დაიღუპნენ ვით ბაირონი.
ნუთუ გაჭირდა იმედის პოვნა,
საბედისწეროს გაისვრის ტყვიას,
გულში ჩაკირეთ პაოლოს ხსოვნა,
რადგან ნამდვილი პოეტი ჰქვია.
ვიგონებ წარსულს, დღეს როგორც აწმყოს,
დღე არ თაკარებს, თუმც მზიანია,
რა გამოულევთ პოეტებს საძმოს,
ის ხომ ლამაზი ტიციანია?

### ძველ ალბომში

ეტაპები მიდიოდა ქარში,
და ცხოვრება ციმბირის გზას ჰგავდა,
ყველა ერთად არ იბრძოდა მაშინ
და სიყვარულს სიძულვილი ჰკლავდა...
და მივსტირით ახლა ყველა ერთად,
ეპოქასთან იმ გაწყვეტილ კავშირს...

**მერაბ ჩაჩავა**

## მარტო...

რა არის, ან სად არის ამ სიტყვის სათავე... როგორ წარმოიშვება სიტყვა. ვუფიქრდებით კი, როცა წარმოვთქვამთ, მის შინაარს?!

ამ სიტყვის მნიშვნელობა მაშინ გავისიგრძეგანე, როცა კრამსკოის რეპროდუქცია სურათისა "ქრისტე უდაბნოში" ვნახე.

განღმრთობილი, მაგრამ ადამის მოდგმის სევდით სავსე ძე კაცისა...

საკუთარ თავში ჩაღრმავებული, მარტოშთენილი ძე კაცისა, მაგრამ, ღმერთი, ღმერთი, მაგრამ ძე კაცისა, ჩვენს გადასარჩენად მოვლენილი, მიმტევებელი...

მე ვარ სიცოცხლე,
თქვენ კი არ მეძებთ,
"მე ვარ გზა, თქვენ კი არ მომყვებით,
მე ვარ ნათელი, თქვენ კი ვერ მხედავთ,
მე ვარ მოძღვარი, თქვენ კი არ მისმენთ,
მე ვარ ერთგული მეგობარი, თქვენ კი არ გიყვარვართ,
მე ვარ უფალი, თქვენ კი არ მემორჩილებით,
მე ვარ ღმერთი, თქვენ კი არ ლოცულობთ ჩემდამი,
და თუ არ ხართ ბედნიერი, ნუ დამადანაშაულებთ მე!"
მე ვარ!!!

მაგრამ ვინა ვართ ჩვენ? მე?! ძე შეცდომილი, უძღები შვილი, ვერ შემცნობი ძე ღვთისა!!!

ის კაცი მარტოა საკუთარ თავთან, უმადურობისა და მოსალოდნელი ტანჯვის წინაშე.

სულის მარტოობისა გვეშინოდეს! საკუთარ თავთან და უფლის სამსჯავროს წინაშე მარტო დარჩენილთ.

**ნანა ჭანტურია**

## სპორტი

# მარგიანისთვის თურქეთის ტატამიც იღბლიანი გამოდგა

უჩა მარგიანისთვის თურქეთის საერთაშორისო ტურნირიც წარმატებული აღმოჩნდა. 27-28 მარტს ქალაქ სამსუნში "გრან-პრი-2015" გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიოს 70-მა ქვეყანამ მიიღო. მათ შორის საქართველო 14 ძიუდოისტით იყო წარმოდგენილი.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამტრედიელი უჩა მარგიანი პირველ წრეში პორტუგალიელ ფალავანს დაუპირისპირდა. ქართველმა მოჭიდავემ მეტოქეს 2 შიდოთი (გაფრთხილებით) აჯობა.

მეორე წრეში მარგიანი ჩეხ ძიუდოისტს იპონით უმასპინძლდება. მესამეში კი უჩას საკმაოდ გამოცდილი და ტიტულოვანი ბელგიელი ძიუდოისტი, ევროპის პრიზიორი და დუსელდორფის გრან-პრის ჩემპიონი უპირისპირდება. ქართველი ფალავანი ამ უკანასკნელს მტკივნეული ილეთით ამარცხებს. მეოთხე წრეში უჩა მარგიანის მეტოქე კიდევ უფრო ტიტულოვანი, 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის მრავალგზის ჩემპიონია. უჩა ამ შერკინებაში შიდოთი მარცხდება. იგი ბრძოლას მედლისთვის აგრძელებს და გადაერთვება დამამშვიდებელ ჯგუფში, სადაც მას მონგოლი ძიუდოისტი ელოდება. უჩა მეტოქეს იპონით ამარცხებს, რითაც საქართველოს ნაკრებს მან ბრინჯაოს მედალი მოუტანა, ხოლო პირად ყულაბაში სალიცენზიო 120 ქულა ჩაიდო, რამაც უჩა მსოფლიო კვალიფიკაციის ათეულში შეიყვანა.



თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე უჩას მონაწილეობის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ მის პირად მწვრთნელს, ავთანდილ თარგამაძეს: "სამსუნში უჩამ ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველოსთვის ღირსეული გამარჯვება მოეტანა. მისი დამარცხება ფრანგ ძიუდოისტთან მხოლოდ იმით იყო განპირობებული, რომ მეტოქე უჩასთან შედარებით ასაკოვანია, გამოცდილება მის მხარეზე იყო, ასევე, 4-5 წელია, იგი მსოფლიოს ძიუდოს კაშკაშა ვარსკვლავია".



საქართველოს ნაკრები მომავალში ემზადება აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს გაიმართება სახელწოდებით "გრანდ სლემი _ 2015". გადაწყვეტილია, უჩა მარგიანი საქართველოს ღირსებას ამ პრესტიჟულ შეჯიბრშიც დაიცავს.

**ნინო ნანიტაშვილი**

# შმაგი თოდუა, გიორგი ლეჟავა და გიორგი მელია _ გზა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე



ლატვიის ქალაქ რიგაში 27-ში დაიწყო და 29 მარტის ჩათვლით გაგრძელდა "ფრეიდენფელდსის თასზე" ორთაბრძოლები ახალგაზრდებს შორის თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობებში მონაწილეობა მიიღეს სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" აღზრდილებმა თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ლეჟავამ, ედემ ბოლქვაძემ და შმაგი თოდუამ, ხოლო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში _ გიორგი მელიამ.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური პრინციპით პირველ ადგილზე გავიდა, რაშიც დიდი წვლილი სამტრედიის კლუბ "ფალავანის" აღზრდილებმა შეიტანეს. ეს მიღწევები შემდეგნაირად გამოიყურება: პირველი ადგილი _ გიორგი ლეჟავა 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში, პირველი ადგილი _ შმაგი თოდუა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მეორე ადგილი _ ედემი ბოლქვაძე 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში. რაც შეეხება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას აქ პირველი ადგილი გიორგი მელიამ არავის დაუთმო. მან ფინალში აშკარა უპირატესობით ყაზახი სპორტსმენი დაამარცხა და გახდა ჩემპიონი.



შმაგი თოდუამ ფინალში სულ რაღაც 1 წუთსა და 30 წამში გერმანელი სპორტსმენი 10 : 0 დაამარცხა.

რიგაში საკმაოდ დაძაბული შეხვედრა ჰქონდა ორ ქართველ სპორტსმენს გიორგი ლეჟავასა და ედემ ბოლქვაძეს. ბუნებრივი გახდა, ერთ-ერთს პირველი ადგილი უნდა ჩამოეტანა. ბოლო ხუთი წამი გახდა გადამწყვეტი ედემ ბოლქვაძისთვის. გიორგი ლეჟავამ თანაკლუბელი ბოლო 2 ქულით დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.

ირაკლი მელაშვილი, საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორი: "მინდა, ვისარგებლო თქვენი გაზეთით და კიდევ ერთხელ მივულოცო ჩვენს სპორტსმენებს ლატვიური გამარჯვება, ვუსურვო მომავალში მათ წარმატებები. ასევე, მადლობას ვუხდი მწვრთნელებს ბიძინა მელაშვილსა და ზაზა არქანიას, გიორგი მელიას მწვრთნელს გიორგი ვახტანგაძეს ასეთი ძლიერი ახალგაზრდების გამოზრდისათვის".

გიორგი ლეჟავა, შმაგი თოდუა და გიორგი მელია ივნისში ევროპის პირველობაზე გაემგზავრებიან, რომელიც თურქეთის ქალაქ სტამბულში შედგება, ხოლო აგვისტოში სამტრედიელი მოჭიდავეები მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიაში იასპარეზებენ.

**ნინო ნანიტაშვილი**

# "სამტრედიამ" კვლავ გაიმარჯვა



3 აპრილს ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს სამტრედიის "სამტრედია" და ქობულეთის "შუქურა" დაუპირისპირდნენ. ჩვენმა გუნდმა შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა: მუჯირიშვილი, ბეჭვაია, ხიზანიშვილი, კაკუბავა, თევზაძე, დათუნაიშვილი, გორგიაშვილი (ბოლქვაძე), გეწაძე, დოლიძე (გაბედავა), კაპანაძე, იაშვილი (შარიქაძე). შეხვედრა უხვგოლიანი გამოდგა. მატჩი "სამტრედიის" სრული უპირატესობით წარიმართა და სტადიონზე მოსული მაყურებელი ლამაზი ფეხბურთის მხილველი გახდა. უკვე მე-4 წუთზე "სამტრედიამ" ალექსანდრე იაშვილის გადაცემით თორნიკე გორგიაშვილმა ოსტატურად ითამაშა და ლამაზი გოლი გაიტანა (1 : 0). საბოლოოდ პირველი ტაიმი 1 : 0 დასრულდა. მეორე ტაიმში თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. "სამტრედიამ" სხვაობის გაზრდა მალევე მოახერხა, როცა ზურაბ ხიზანიშვილის საჯარიმოში ჩამოწოდებულს ლევან კაკუბავა გამოეხმაურა და ალექსანდრე იაშვილს საგოლედ უპასუხა და ანგარიშიც გაზარდა (2 : 1).

გრიგოლ დოლიძემ 76-ე წუთზე ულამაზესი გოლი გაიტანა "შუქურას" კარში, რითაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა მატჩის ბედი. შეხვედრის ბოლოს კი, დოლიძის შესანიშნავი თამაშის შემდეგ, კარში ძლიერად დაარტყა, თუმცა, "შუქურას" მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია და სიტუაცია განმუხტა. საბოლოო ანგარიში კი, ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ, თორნიკე კაპანაძემ დააფიქსირა თავურით (4 : 1). ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ზაზა ზამთარაძე ასე აფასებს ამ შეხვედრას: "ბიჭების თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. მათ ზუსტად შეასრულეს ჩემი დავალებები და გავიმარჯვეთ კიდეც. მადლობას ვუხდი გულშემატკივრებს მხურვალე ქომაგობისთვის და ვულოცავ მათ ამ გამარჯვებას!"

**ზიკო ჯინჭარაძე**

# მაგიდის ჩოგბურთში 2015 წლის საკვალიფიკაციო შესარჩევი პირველობა გაიმართა

2015 წლის 26-27 მარტს ქალაქის № 3 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის საკვალიფიკაციო შესარჩევი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ეწრის, მელაურის, კულაშის, დაბლა გომის, ღანირის, საჯავახოს, დიდი ჯიხაიშის, № 1 დიდი ჯიხაიშის გ. ნიკოლაძის სახელობის, №1, №4, და №3 (2 გუნდი) საჯარო სკოლების 33 მონაწილემ (23 ვაჟი და 10 გოგონა). ჩატარდა კენჭისყრა და წარმომადგენლებთან შეთანხმების საფუძველზე შეჯიბრება დაიწყო ოლიმპიური _ ორი წაგების შემდეგ გამოთიშვის სისტემით.

ორდღიანი დაძაბული შეხვედრების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებული მოსწავლეები. გოგონებში პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა № 1 საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ სხვიტარიძემ, მეორე ადგილზე გავიდა დაბლა გომის საჯარო სკოლის მოსწავლე ნათია ჩაჩუა, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლემ, ანანო ფოცხვერიამ.

ვაჟებში შეხვედრები უფრო დაძაბული გამოდგა, საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას, ძირითადად, ქალაქის № 3 საჯარო სკოლის მოსწავლეები განაგრძობდნენ და საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული № 3 საჯარო სკოლის მოსწავლემ, გიორგი მიქელთაძემ მოიპოვა, მეორე-მესამე ადგილები ამავე სკოლის მოსწავლეებმა, ნოდარ თავართქილაძემ და გელა კეკელიამ დაიკავეს. გამარჯვებული მოსწავლეები, როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში დაჯილდოვდნენ კომპლექსური სპორტული სკოლის მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრებითა და შესაბამისი ხარისხის სიგელებით.

აქვე უნდა აღინიშნოს ეწრის საჯარო სკოლის დირექტორის, ბატონ მიხეილ კოპალეიშვილის დამოკიდებულება ჩატარებული ღონისძიების და საერთოდ ყველა შეჯიბრებების მიმართ. ის ყოველთვის ესწრება ღონისძიებებს და აქტიურად მონაწილეობს. შეჯიბრების მსვლელობაში. ეს დიდ სტიმულს აძლევს სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობას. ვფიქრობ, მისაბაძი მაგალითია ყველა საჯარო სკოლის ხელმძღვანელისთვის.

სამტრედიის № 3 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ვენერა ივანიშვილს ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის დირექცია ულრმეს მადლობას უხდის, რადგან მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა, რაიონის პირველობა საჯარო სკოლებს შორის მაგიდის ჩოგბურთში ამ სკოლაში ჩატარებულიყო.

**გენო ნიჟარაძე**
**სამტრედიის კომპლექსური**
**სპორტული სკოლის დირექტორი**

# მუნიციპალური ტურნირის გამარჯვებული სიმონ ხაჟალია

მუნიციპალური ტურნირი ჭადრაკში, რომლის ორგანიზატორი გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური იყო, ხელოვანთა დარბაზში ჩატარდა. გენდერული ბალანსი დაცული არ ყოფილა, თუმცა ჭადრაკის მოყვარულ 14 მონაწილეს შორის 4 ქალბატონიც იყო და ამ ინტელექტუალურ სპორტში მამაკაცებთან ღირსეული პაექრობაც შესძლეს. საბოლოოდ, ნერვებისა და ტვინების ომი მაინც მამაკაცმა მოიგო. თითოეული პარტია 10 წუთიანი იყო, ტურნირის მონაწილეებს გულშემატკივრობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც. დაძაბული და ემოციური რამდენიმე ტურის შემდეგ ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვეფხია სტურუა და სიმონ ხაჟალია, ირინა ჯანელიძე და ზურაბ გოგია. ოთხივე ამ მონაწილემ შესანიშნავი თამაში აჩვენა, ფინალში ერთმანეთს სიმონ ხაჟალია და ზურაბ გოგია შეხვდნენ.



სიმონ ხაჟალია იმ დღის აშკარა ფავორიტი იყო, მან ყველა თამაში მოიგო და დამსახურებულად პირველ ადგილზე გავიდა. უნდა ითქვას, რომ ის თავმდაბლობითაც გამოირჩევა, მან ჩვენთან კომენტარი არ ისურვა, მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს, მონაწილეებს და მოკრძალებულად გვითხრა რატომღაც გამარჯვებული მე გამოვედიო. სიმონ ხაჟალია "რესპუბლიკა" ბანკში მუშაობს, სესხის ოფიცერია. მისი უახლოესი მეგობრების თქმით, მას წარსულში სერიოზული მიღწევები ჰქონდა ჭადრაკში.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილმა და მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა ნატალია მანჯგალაძემ მადლობა გადაუხადეს ტურნირის ყველა მონაწილეს და პრიზები გადასცეს გამარჯვებულებს.

სიმონ ხაჟალიას 200 ლარი და თასი გადაეცა, მეორე ადგილზე გასულს ზურაბ გოგიას 100, ხოლო მესამე ადგილზე გასულ ვეფხია სტურუას _ 50 ლარი.

ლიზა კრავეიშვილმა შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს მიმართა: "ეს ტურნირი მოყვარულთა ტურნირია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ აქ მხოლოდ მოყვარულნი თამაშობდნენ. ზოგიერთ აქ მოთამაშეს დიდი წარმატებებიც ჰქონდათ, მაგრამ ახლა აქტიურ სპორტს მოსწყდნენ, სხვა სფეროებში არიან დასაქმებულნი, დღეს ჭადრაკის სიყვარულმა შეკრიბა სამტრედიაში ეს შესანიშნავი ადამიანები, ორგანიზატორების და მათი დამსახურებაა, რომ ტურნირი ასე მაღალ დონეზე ჩატარდა, მადლობა შეჯიბრის ორგანიზატორს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს, მადლობა მსაჯს, ბესო ლეჟავას, ყველა მონაწილეს, ყველა დამსწრეს. ჭადრაკი ტვინებისა და ნიჭის ომია, პირველ ადგილზე გავიდა სიმონ ხაჟალია, მეორეზე ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ბატონი ზურაბ გოგია და მესამეზე, ვეფხია სტურუა, რომელიც არის შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული."

ამჯერად, ტურნირის შემდეგ, თასმა მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა დატოვა, ვნახოთ, მომავალ ტურნირზე ვინ დაეუფლება მას.

**ნათია ნაცვლიშვილი**

## სააღდგომო კვერცხი



არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც, მარიამ მაგდალინელი იესოს ზეცად ამაღლების შემდეგ რომში ჩავიდა და იმპერატორ ტიბერიუსს ეახლა. იმ ხანად იმპერატორთან ძღვენის გარეშე მისვლა არ შეიძლებოდა. მდიდრები ძვირფასი საჩუქრებით მიდიოდნენ, ღარიბები კი იმით, რაც გააჩნდათ. მარიამ მაგდალინელს ქრისტეს რწმენის გარდა არაფერი ებადა. მან ტიბერიუსს ქათმის კვერცხით ახარა ქრისტეს აღდგომა. იმპერატორმა უპასუხა, მკვდრეთით აღდგომა ისევე შეუძლებელია, როგორც ამ კვერცხის გაწითლებაო. სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ კვერცხი სისხლისფერი გახდა. სააღდგომო კვერცხის შეღებვის ტრადიციაზე პირველ წერილობით ცნობას საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში, წმინდა ანასტასიას მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული მეათე საუკუნის ხელნაწერი გვაწვდის. მასში აღწერილი საეკლესიო წესდების ბოლოს ნათქვამია, რომ სააღდგომო ლოცვის წაკითხვის შემდეგ აუცილებელია კვერცხისა და ყველის კურთხევის ლოცვის წაკითხვა. კვერცხებს წითელ პარასკევს ღებავენ იმის მოსაგონებლად, რომ ამ დღეს ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. იგი აღდგომისა და სიცოცხლის სიმბოლოა და ნიშანია ქრისტეს წმინდა სისხლით განწმენდილი ჩვენი მარადიული ცხოვრებისა.

გარდა შეღებვისა, სააღდგომო კვერცხის დამზადება იუველირებმაც დაიწყეს. ერთ-ერთი ასეთია, კარლ ფაბერჟე, რომლის სახელიც დღემდე უკავშირდება დეკორატიული სააღდგომო კვერცხის დამზადების ხელოვნებას. კვერცხები, რომლებშიც რთული დასაქოქი მექანიზმი იყო ჩამონტაჟებული, საიუველირო ხელოვნების სასწაულს წარმოადგენდა. თითოეული ნიმუში სპეციალურ ფუტლიარში ან სეიფში ინახებოდა და საჩვენებლად მხოლოდ აღდგომის დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ფაბერჟე არასდროს აკეთებდა ასლს, მისი თითოეული ნიმუში განუმეორებელია. დღეისთვის ცნობილი 47 კვერცხიდან 10 მოსკოვში,

კრემლში, 9 ვიქტორ ვექსელბერგის კერძო კოლექციაში, 5 ვირჯინიის შტატის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში, 3 ინგლისის დედოფალ ელისაბედის კოლექციაში, 3 ახალი ორლეანის მუზეუმში, 2-2 შვეიცარიის, ბალტიმორისა და ვაშინგტონის მუზეუმებში, თითო-თითო კლივლენდის მუზეუმსა და მონაკოს პრინცის კოლექციაში, დანარჩენი კი კერძო კოლექციებშია დაცული. ორი ნაკეთობის ადგილსამყოფელი უცნობია, მხოლოდ ფოტოები არსებობს.

## როგორ შევღებოთ კვერცხი

კვერცხის შეღებვის არაერთი წესი არსებობს. ყველაზე იოლია, მისი სპეციალური საღებავით შეღებვა, შეფუთვაზე მითითებული წესით. მას ხახვის ფურცლის ნახარშშიც ღებავენ. მოგროვილ ხახვის ფურცელში კვერცხი სასურველი ფერის მიღებამდე იხარშება. არსებობს სხვაგვარი წესიც: ხახვის ფურცელი ადუღეთ ნახევარ საათს, შემდეგ გადაწურეთ. ნახარშში ჩააწყვეთ უკვე მოხარშული კვერცხი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე, ვიდრე სასურველ ფერს არ მიიღებს. ამ გზით უფრო თანაბარი შეფერილობა მიიღება. კვერცხი ხახვის მშრალი ფურცლითაც შეიძლება შეიღებოს. მოხარშულ, ჯერ ისევ ცხელ კვერცხს სათითაოდ შემოახვიეთ ხახვის მშრალი ფურცელი, გადაახვიეთ ნაჭერში და კიდევ 10 წუთს ადუღეთ. წყალს ძმარი დაამატეთ. კვერცხი მოოქროსფერო-მარმარილოსებრ ელფერს მიიღებს. თუ კვერცხს ოხრახუშის ფოთოლს დააფენთ და მაგრად შეახვევთ დოლბანდში, თქვენს სააღდგომო სუფრას მოხატული კვერცხები დაამშვენებს.

კვერცხის მოხატვა სხვანაირადაც შეიძლება: სველი კვერცხი ამოავლეთ მშრალ ბრინჯში, მაგრად შეახვიეთ დოლბანდში, რომ მარცვლები არ მოშორდეს და ჩვეულებრივი წესით შეღებეთ. ზოგს მოსწონს აკვარელის საღებავებით შეღებვა. საღებავი სწრაფად რომ გაშრეს, უნდა შეიღებოს უკვე მოხარშული, ჯერ კიდევ თბილი კვერცხი.

## პრაქტიკული რჩევები

თუ კვერცხს წინასწარ სოდიანი წყლით ან ძმრით გარეცხავთ, უფრო თანაბრად შეიღებება.

ხარშვისას კვერცხი რომ არ გასკდეს, შეღებვამდე 1 საათით სითბოში ან ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ, ხოლო ხარშვისას წყალში ჩაამატეთ 1 სუფრის კოვზი მარილი. ნაჭუჭი რომც გასკდეს, გული არ გადმოიღვრება.

შეღებილმა კვერცხმა რომ იბრწყინოს, გაამშრალეთ და ზეთი გადაუსვით.

## ჯეჯილი

ძველი ქრისტიანული ჩვეულების მიხედვით, ბზობის კვირას მორწმუნეები ხორბალს სთესენ. ამისთვის ლანგარზე დებენ წყალში დასველებულ ბამბას და მასზე მუჭით ხორბალს მიმოფანტავენ. ხორბალი ღვივდება და იზრდება ჯეჯილი. ძველი ქრისტიანული წესის თანახმად, აღდგომას ერთმანეთს პასკითა და ხორბალში ჩადებული წითელი კვერცხით ულოცავენ ქრისტიანები.

მწვანე ჯეჯილი ახალი ცხოვრების სიმბოლოა, რომელიც იესო ქრისტემ მოგვანიჭა თავისი აღდგომით.

## პასკა

პასკას ქრისტიანები სააღდგომოდ აცხობენ და მიირთმევენ იესო ქრისტეს აღდგომის რწმენის ნიშნად. პასკას სიმბოლური დატვირთვა აქვს. იგი იმ მთის სიმბოლოა, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. ებრაული პასექის დღესასწაულზე ხმიადებს, უსაფუარო პურებს აცხობდნენ. ეს ხმიადები იყო საიდუმლო სერობაზეც. გარკვეული განსხვავება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში ჯერ კიდევ განხეთქილებამდე ის იყო, რომ დასავლეთში უსაფუარო კვერის გამოყენების ტრადიცია შეინარჩუნეს, რადგან ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ საფუარის გამოყენება, აღმოსავლეთში კი გაფუებული კვერის გამოყენების ტრადიცია შემოვიდა. ის ეფუძნება მაცხოვრის მიერ მოყოლილ იგავს, სასუფევლის შესახებ: სასუფეველი ჰგავს საფუარიან ცომს, რომლის მცირე ნაწილი ცომს აფუებს. საფუარი მადლის სიმბოლოა, მადლით ხდება ქვეყანაზე ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელება. მადლით ხდება ადამიანისთვის სასუფევლის მოპოვება და ცხონება. ამიტომ, აღდგომის დღესასწაულზე ვამზადებთ საფუარიან ცომს, რომელიც ტკბილი უნდა იყოს. _''ტკბილი ხარ შენ, უფალო, და სიტკბოებითა შენითა მასწავე მე სიმართლენი შენნი'', იესო ტკბილის სულიერი სიტკბოება მიწიერშიც აისახება. ამავე დროს, პასკა პურია. უფალი ამბობს: ''მე ვარ პური ზეცით გადმოსული''. ვიცით, რომ საზიარებელი ღვინო და პური ღვთის მადლით იკურთხება და გარდაისახება უფლის სისხლად და ხორცად.

აღდგომის სიხარულთან ერთად პასკა ასევე ზეციური საზრდოს სიმბოლოა ჩვენი სულებისთვის.

## 60 წლის იუბილეს გილოცავთ!



ქალბატონ ლია ბიბილეიშვილს სამტრედიელი საზოგადოების წინაშე წარსდგენა არ სჭირდება. მას იცნობენ და პატივს სცემენ.

ქალბატონი ლია სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯერ დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. მრავალი თაობა აღზარდა და შეაყვარა ქართული პოეზია, ასწავლა ერისა და მამულის სიყვარული, ბევრმაც პედაგოგობა აირჩია თავის პროფესიად და დღეს წარმატებულები არიან. გარკვეული წლები მან დიდი ჯიხაიშის გიორგი ნიკოლაძის სახელობის არასრულ სკოლაში იმუშავა დირექტორად. მუშაობდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში ლექტორად.

2 ათეული წელია იგი სათავეში უდგას დიდი ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს დიდი რუდუნებით უვლის შესანიშნავი მამულიშვილის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის მემორიალურ მუზეუმს. ძალიან უყვარს აქაურობა და გასაკვირიც არ არის, ის რომ ამ ეზო-კარში იზრდებოდა ბავშვობიდანვე. ქალბატონი ლიას დედის, მუზეუმის სულისჩამდგმელის, ყოფილი დირექტორის, თინა ჭილაძის დღიურებში ვკითხულობთ, თუ როგორ შეაკოწიწა თითოეული ექსპონატი მუზეუმის შესანარჩუნებლად. სახლში ბავშვის დამტოვებელი რომ არ ჰყავდა და სახლ-მუზეუმში ექსკურსანტები შეჰყავდა, ბავშვის აკვანი დამხმარე ოთახში ედგა. ფეხიც ამ ეზოში აიდგა ლიამ და პირველი სიტყვებიც ამ ეზოში წარმოსთქვა. ამიტომაცაა, რომ ძალიან უყვარს აქაურობა. ყოველი ხე და ბუჩქი მისი პატარა ხელებით არის მოვლილი.

უაღრესად განათლებული ქალბატონი, იგივეს ითხოვს ყველასაგან _ გაეცნონ ნიკო ნიკოლაძის და მისი შთამომავლების ღვაწლს საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

საქებარ სიტყვებს რა გამოლევს ქალბატონი ლიას მიმართ, მაგრამ ამჯერად მინდა, ლიას საიუბილეო თარიღი მივულოცო.

5 აპრილს ქალბატონ ლიას 60 წელი უსრულდება. დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ, ქალბატონო ლია, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და შემწე თქვენს საქმიანობაში. კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგეგრძელებინოთ თქვენი საყვარელი საქმე.

**მუზეუმის თანამშრომელთა სახელით, კეთილი სურვილებით, სიყვარულითა და პატივისცემით**
**გულიკო ზარბაზოია-კაკაბაძე**

## ლია ბიბილეიშვილს!

საქმისთვის, სამშობლოსთვის თავდადებულ ქალბატონ ლია ბიბილეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. კიდევ ბევრი შეჰმატებოდეს ღირსეულად ნატარებ მის წლებს. მეგობრებისა და ახლობლების იმედად დიდხანს ყოფილიყოს მოამაგე და ღიმილიანი. მისი და მისი მშობლების ნაამაგარ ნიკოლაძეების ფუძეს არ მოშლოდეს ქალბატონი ლიას მზრუნველობა.

**"სამტრედიის მაცნე"**

იუბილეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში

**გიგანტი ბიბილეიშვილი ოჯახით**

## თალიკო ქართველიშვილს!



უდიდესი ბედნიერებაა, ისეთი ღირსეული დედის შვილის სახელს ატარებდე, როგორიც შენ გვყავხარ, დედა. მუდამ საამაყოდ და სამაგალითოდ მიგვაჩნდი შენს მიერ სასახელოდ განვლილი ცხოვრების გზით და წესით. 88 წლის შესრულებას გილოცავთ, ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარდა და გეყვარება. ბედნიერები ვართ, რადგან თალიკო ქართველიშვილის დამსახურება მარტო მისი შვილების აღზრდა კი არაა, მან ათასობით პატარა სამტრედიელს ცოდნა და ადამიანური ღირსება შესძინა.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ დედა!

**შვილები, ელიზა და გია ცხვირაშვილები ოჯახებით,**
**შვილთაშვილი ზალიკო**

## მერი შეყრილაძეს!



ჩემო დედიკო!

8 აპრილს 88 წელი შეგისრულდა. სიყვარულით სავსე გულით გილოცავ, დედიკო, დაბადების დღეს. გისურვებ, კვლავ უბერებელი სულით გეცოცხლოს ხანგრძლივად დედამიწაზე. როგორც თავად იტყოდი, 4 შვილი 4 ათასად გიქციოს ღმერთმა. სიხარულიანი დღეები და ბედნიერი დედის წოდება გეტარებინოს მუდამ!

**ნინო ნანიტაშვილი**

## გულნარა ცინცაძეს!

ამაგდარ ქალბატონს დიდი პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს! შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი არასდროს მოჰკლებია და არც ამიერიდან მოჰკლებოდეს მის ყველა წამოწყებას. ახალგაზრდული შემართებით დიდხანს ყოფილიყოს რაიონის წარმატებების გუშაგად. ჯანის სიმრთელე, სიხარული, სათნოება და შვილთა ბედნიერება დაბედებოდეს.

**"სამტრედიის მაცნე"**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა